ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 30 იანვარი, 2017 №24 (7259) ფასი: 50 თეთრი



## ცხინვალში საარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყო

კანდიდატებს ოსური გრამატიკისა და კოსტა ხეთაგუროვის ლექსების დაზუთხვაც მოუწევთ გვ.5

27 იანვრიდან

დონალდ ტრამპი

იფიქრე ჩემპიონივით

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




# „კვირიკაშვილი, კალაძე და ქუმსიშვილი ერთმანეთს ივანიშვილთან აბეზღებენ“



გვ.3

„გიორგი გახარიას პრეზიდენტობისთვის ამზადებენ“





ლადო სადღობელაშვილი: „ეს მშიერი ხალხი ქუჩაში თუ გამოვიდა, მაგ კონსტიტუციას თავზე გადაგახევენ!“

## რამაზ საყვარელიძე: „ჩვენ გვჭირდება ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი პარლამენტი“

გვ.2

„დროა, ამერიკულ მოდელზე გადავიდეთ“





„ამერიკაში ანტისოროსული გამოსვლები იწყება“ გვ.4

## ლევან ჩაჩუა: „საქართველოს პოლიტელიტამ ტრამპის ადმინისტრაციასთან ურთიერთობები გააფუჭა“



## „ვანო მერაბიშვილის საქმეს სტრასბურში ადეიშვილის მოადგილე განიხილავს“

გვ.7

ევა გოცირიძე მის ჩავარდნას მერაბიშვილის საქმეს უკავშირებს



## როგორ აღმოჩნდა აფხაზური დელეგაცია ნიუ იორკის ნუმიზმატიკის კვირეულზე

გვ.5

## საქართველოში ვირების პირველი ფერმა გაიხსნა



გვ.4

ISSN 1987-9385

9 771987 938006

# რამაზ საყვარელიძე: „ჩვენ გვჭირდება ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი პარლამენტი“

## „დროა, ამერიკულ მოდელზე გადავიდეთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.

***– ოპოზიციის მხრიდან ისმის სერიოზული კრიტიკა, რომ სადაც შესატანია ცვლილება, იმავე საარჩევნო კანონმდებლობაში, იქ ხელისუფლება ჯიუტდება, ხოლო პარლამენტის თბილისში გადმოტანასა და პრეზიდენტის უფლება-მოვალეობის შეკვეცას დიდი ენთუზიაზმით ახორციელებს. რას იტყვით თქვენ?***

– პრეზიდენტს უფლება-მოვალეობა არც ისე ბევრი აქვს, რომ ამ ფონზე მათი შეკვეცა დიდ პრობლემად ჩანდეს.

***– ხელისუფლებას სურს, რომ ელჩების დანიშვნის უფლებაც ჩამოერთვას პრეზიდენტს. ასეა?***

– არ არის გამორიცხული, რომ უფლებები ჩამოერთვას, მაგრამ მისი უფლებები არ არის იმხელა, რომ ამან ქვეყანას ან თუნდაც მმართველ პოლიტიკურ გუნდს პრობლემები შეუქმნას. დღევანდელი პრეზიდენტი ხშირად იყენებს ვეტოს, მაგრამ ეს ვეტოც კი პრობლემას არ ქმნის, რადგან უმრავლესობა მობილიზაციას ახერხებს. ვეტოს პრეზიდენტია. ამ ფონზე პრეზიდენტის თემა გახადო წამყვანი, ცოტა ღიმილის მომგვრელია.

***– არჩევის წესზე რას იტყვით?***

– ერთადერთი, ეს საკითხია სადავო, უნდა იყოს თუ არა საერთო-სახალხო არჩევნები?! საერთო-სახალხო არჩევნები პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც ტევადი პროცესია და შედეგში რას ვიღებთ? ვიღებთ ვეტოს პრეზიდენტს!

***– პარლამენტის მიერ უნდა აირჩეს პრეზიდენტი?***

– იქ, სადაც პრეზიდენტი ასეთი ფიგურაა, ასეთი შეკვეცილი უფლებებით, მას პარლამენტი ირჩევს, რადგან ამ არჩევანს არსებითი ცვლილება არ შეაქვს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პრობლემები შექმნა მარგველაშვილის სურვილმა, მისმა ხასიათმა, მისმა ენერგიამ, რომ გაეძლიერებინა საპრეზიდენტო ინსტიტუტი. ახალი პრეზიდენტი, შესაძლოა, სულაც არ იყოს ამ მიდრეკილებისა და მმართველი გუნდისთვის ეს არ



იქნება არანაირი პრობლემა, ხოლო არჩევნები და უფლებამოსილება ნამდვილად არ შეესაბამება ერთმანეთს!

***– ანუ რადგან ასეთი უუფლებოა პრეზიდენტი, მის ასარჩევად ამხელა ცერემონიალი საჭირო არ არის?***

– დიახ. რა გამოდის, მთელი ქვეყნის მასშტაბით ირჩევ ადამიანს, რომელსაც მარტო ვეტოს დადების უფლება აქვს! ჩვენ პრეზიდენტის საყოველთაო არჩევა გვერგო იმ სისტემიდან. ეს გარკვეული მემკვიდრეობაა წინა კონსტიტუციებისა და ეს გვერგო იმ სისტემიდან, სადაც პრეზიდენტი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი.

***– შევარდნაძის პერიოდს გულისხმობთ?***

– ეს იყო თავის დროზე შევარდნაძის პერიოდში მიღებული კონსტიტუციის სქემა. პრეზიდენტი კი იყო ხელმძღვანელი, მაგრამ მისი მაკონტროლებელი და გამაწონასწორებელი მექანიზმები არ იყო, განსხვავებით ამერიკული მოდელისაგან. ამ ტრადიციით გადმოვიტანეთ პრეზიდენტის არჩევა და ამ დროს პრეზიდენტს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, პრაქტიკულად, მოვუჭერით გზა.

ამერიკულ მოდელში ამას ლოგიკა აქვს. ამერიკელი ხალხი ირჩევს მთავრობის ხელმძღვანელს ცალკე და მის ოპონენტს, პარლამენტს – ცალკე. ორივე მხარე არის ხალხის მიერ არჩეული და მერე ეს ორივე მხარე ერთმანეთთან ჭიდაობს.

შენ თუ გადადიხარ ევროპულ მოდელსა და საპარლამენტო რესპუბლიკაზე, მაშინ პარლამენტში არჩეულმა ძირითადმა პარტიამ უნდა შექმნას მთავრობა. იქ პრეზიდენტი ზედმეტი ფიგურა ხდება. ის ფიგურა ხდება, როგორიც არის ინგლისურ სინამდვილეში დედოფალი. ფაქტობრივად, ჩვენც დედოფალს ვირჩევთ.

***– თუკი გადაწყდა, რომ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს, თუკი კიდევ შეიკვეცა პრეზიდენტის უფლებები, როგორი იქნება მარგველაშვილის ნაბიჯები? უკვე გვესმის განცხადებები, რომ ის ვადაზე ადრე გადადგება და შეეცდება, არჩევნები დანიშნოს. ელით მისგან ასეთ ნაბიჯებს?***

– ნამდვილად არ გამოვრიცხავ. მან იმდენად მკვეთრი პოზიცია დაიკავა ამ საკითხში, რომ გამორიცხული არ არის, ასეთი მკვეთრი ნაბიჯებიც გადადგას, თუკი საკითხი ისე არ გადაწყდება, როგორც თვითონ მიაჩნია სწორედ.

***– აქვს შანსი, რომ ხელმეორედ აირჩევს მოსახლეობა? ღირს ამ რისკზე წასვლა?***

– საერთოდ, მოსახლეობას კრიტიკული დამოკიდებულება აქვს ხელისუფლების ყველა შტოს, მათ შორის პრეზიდენტის შტოს მიმართ და დიდი ინტერესი, რომ, არიქა, მონაწილეობდეს პრეზიდენტის არჩევაში, მოსახლეობაში არ შეიმჩნევა. მე ვთვლი, რომ პრეზიდენტს ცოტა სხვა ბოლოდან აქვს დასაწყები ბრძოლა. ის თუ დაიწყებს ამ ბრძოლას, მაშინ სხვა სახის ბრძოლასაც აზრი ექნება.

***– რას გულისხმობთ, რომელი ბოლოდან?***

– ბრძოლას არა იმისთვის, რომ ასეთი პრეზიდენტი იყოს სახალხოდ არჩეული, არამედ იმას, რომ დავუბრუნდეთ ამერიკულ მოდელს, ოღონდ ეს მოდელი გავაკეთოთ ამერიკულად და არა – ქართულად!

***– კერძოდ?***

– მოსახლეობას მიეცეს საშუალება, აირჩიოს მთავრობის ხელმძღვანელი, პრეზიდენტი იყოს მთავრობის ხელმძღვანელი და ასევე მოსახლეობამ აირჩიოს პარლამენტი, ოღონდ მერე ეს ორი შტო მკაფიოდ გაყოს ერთმანეთისგან და მისცეს ერთმანეთის კონტროლის მექანიზმები.

ასეთი ნაბიჯი საპრეზიდენტო რესპუბლიკისკენ ჩვენნაირ გაჭირვებულ ქვეყანას უფრო შეეფერება. ყველაფერში რომ ამერიკელებს ვბაძავთ, ამაში რატომ აღმოვჩნდით მაინცდამაინც ევროპელების მიმდევარნი?! ეს ჩემთვის გაუგებარია.

***– ანუ თქვენ ამერიკული მოდელისა და საპრეზიდენტო მმართველობის მომხრე ხართ?***

– დიახ, ჩვენს პირობებში ასე უკეთესია, რადგან, როცა პარტიები არ გაქვს, ხალხი იძულებულია, აირჩიოს ერთი პარტია, ჩვენთან ეს ტენდენცია უკვე არსებობს. აქედან გამომდინარე, მივიღებთ ყოველთვის ერთპარტიულ პარლამენტს. რადგან პარლამენტი აკომპლექტებს მთავრობას, მივიღებთ ამ ერთი პარტიის მიერ დაკომპლექტებულ მთავრობას და ეს საბჭოთა კავშირია, ხოლო ევროპის მიბაძვით საბჭოთა კავშირში მისვლა ცოტა კომიკურია!

აი, ამის წინააღმდეგ თუ იბრძოლებს პრეზიდენტი და იბრძოლებს იმისთვის, რომ კონსტიტუცია შედგეს ამის შესაბამისად, ეს ბრძოლა უფრო აზრიანია, უფრო გამართული პოლიტიკურადაც და იმის მოთხოვნასაც მიეცემა აზრი, რომ პრეზიდენტი აირჩეს სახალხოდ. თუ ამ მიმართულებით გადადგამს ნაბიჯებს, ის უფრო წარმატებული იქნება ამ ბრძოლაში, ვიდრე მაშინ, თუ დღევანდელი სტატუსის მქონე პრეზიდენტის საყოველთაოდ არჩევას მოითხოვს.

# ზაზა ბიბილაშვილი: „ხელისუფლებამ გაასაჯაროოს ის მონაცემები, რომელთა შესახებ ინფორმაცია რუსეთს გადაეცა“

ნაციონალური მოძრაობის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება აქტიურად თანამშრომლობს ოკუპანტ სახელმწიფოსთან ქართველი მეომრების საწინააღმდეგოდ.

როგორც ბრიფინგზე პარტიის წევრმა ზაზა ბიბილაშვილმა განაცხადა, პარტიამ პარლამენტს მიმართა, რათა შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც მსგავს ფაქტებს შეისწავლის.

გარდა ამისა, ბიბილაშვილის თქმით, პარტია მოითხოვს ხელისუფლებისგან, რომ მან გაასაჯაროოს ყველა იმ სამხედროს ვინაობა, რომელთა შესახებ ინფორმაცია რუსეთისთვის არის მიწოდებული.

– ხელისუფლება აქტიურად თანამშრომლობს ოკუპანტ სახელმწიფოსთან ქართველი მეომრებისა და საქართველოს მოქალაქეების საწინააღმდეგოდ. ჩვენ მივმართეთ პარლამენტს იმ მოთხოვნით, რომ შე-



იქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის ამ საკითხებს, ვინაიდან თვალნათელია ყველა ჩვენგანისთვის, რომ ამ ფაქტებმა მიიღო სისტემური ხასიათი.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პარალელურად ჩვენ გვსურს და მოვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისგან, გაასაჯაროოს ყველა იმ სამხედროს მონაცემები, სახელები და გვარები, რომელთა შესახებ ინფორმაცია გადაეცა რუსეთის ხელისუფლებას პირდაპირ ან ირიბად, – აღნიშნა ბიბილაშვილმა.

მისი თქმით, უახლოეს დღეებში, პარტია წერილობით ინტერპოლს მიმართავს მოთხოვნით, რომ ქართველი სამხედროების წინააღმდეგ ძებნა და დევნა არ იყოს გამოცხადებული.

– ჩვენ ასევე წერილით მივმართავთ ინტერპოლს უახლოეს დღეებში და მოვითხოვთ, რომ ქართველი სამხედროების წინააღმდეგ არ იქნას გამოცხადებული დევნა და ძებნა, ვინაიდან ყველა ასეთი ქეისი არის პოლიტიკური, არის სამხედრო და სხვა მიზნებით მოტივირებული და ეწინააღმდეგება ინტერპოლის კონსტიტუციას, – განმარტა ზაზა ბიბილაშვილმა.

**მედიანიუსი**

# ვიქტორ დოლიძე: „ნატოს მომავალ სამიტში საქართველო მონაწილეობას არ მიიღებს“

სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ვიქტორ დოლიძე აცხადებს, რომ ნატოს მომავალ სამიტში საქართველო მონაწილეობას, ალბათ, არ მიიღებს, ვინაიდან ეს ნაკლებად მასშტაბური და ტრამპი-ნატოს გაცნობითი ხასიათის სამიტი იქნება.

**ვიქტორ დოლიძე:**

– ეს სამიტი არ იქნება გაფართოების სამიტი. ეს გენმდივანმა სტოლტენბერგმა უკვე მითხრა. ამაზე დაიწყება ბევრი პოპულიზმი ქვეყანაში ოპოზიციის მხრიდან, რომ არ ვმონაწილეობთ, არ დაგვპატიჟეს და ა.შ. ეს იქნება ნაკლებად მასშტაბური, გაცნობითი სამიტი. ე.წ. ტრამპი-ნატოს სამიტი. ეს იქნება შიდა ნატოს სამიტი. ჯერჯერობით მისი გამართვის თარიღიც კი არ არის დადგენილი. თუმცა, ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა, მათ შორის მოკავშირეებთან, რომ სამიტის ფარგლებში საქართველო დღის წესრიგში იყოს.

მონაწილეობას, ალბათ, არ მივიღებთ, მაგრამ ის, რომ ჩვენი საკითხი დღის წესრიგში იდგეს ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად, ამაზე ჩვენ დაწყებული



გვაქვს მუშაობა.

რაც შეეხება მაპ-ს, უელსის სამიტის შემდეგ ჩვენ გვაქვს შემოღებული შინაარსობრივად ძალიან კარგი პაკეტი. თუკი ნახავთ უელსისა და ვარშავის სამიტების საბოლოო კომუნიკეს, იქ პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ ბუქარესტის სულისკვეთება გრძელდება და საქართველო, დიახ, გახდება ნატოს წევრი. ჯერჯერობით ასეა, რომ ყველა ქვეყანამ გაიარა სამოქმედო გეგმა, სანამ გადავიდოდა გაწევრიანების პროცესზე. როგორ მოხდება ჩვენს შემთხვევაში, ამას უკვე დრო გვაჩვენებს.

**აიპრესი**

# შალვა ნათელაშვილი: „არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო უნდა გახდეს“



ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე კომისიას წინადადებებით მიმართა. პრესკონფერენციაზე ნათელაშვილმა არჩევნების მაჟორიტარული სისტემის გაუქმების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. ასევე, ლეიბორისტების ლიდერის წინადადებით, ხალხს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რეფერენდუმის გზით პარლამენტი დაითხოვოს.

გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ არჩევნებში მონაწილეობის მიღება სავალდებულო გახდება.

ნათელაშვილის თქმით, დასაკანონებელია ნორმა, რომლის მიხედვით, თუ დეპუტატი პარტიულ კუთვნილებას შეიცვლის, მისი სადეპუტატო მანდატი ავტომატურად უნდა გაუქმდეს.

– აუცილებელია, რომ სამუდამოდ გაუქმდეს მაჟორიტარიზმის ინსტიტუტი, ხოლო ცვლილებების მიღების შემდეგ ჩატარდეს ახალი საპარლამენტო არჩევნები. ხალხს უნდა მიეცეს უფლება, რეფერენდუმის გზით ნებისმიერ დროს დაითხოვოს უვარგისი პარლამენტები. არჩევნებში მონაწილეობა გამოსაცხადებელია სავალდებულო მოვალეობად თითოეული მოქალაქისათვის.

დასაკანონებელია ნორმა, რომლის თანახმადაც, თუ დეპუტატი შეიცვლის პარტიულ კუთვნილებას, მას ავტომატურად უბათილდება სადეპუტატო მანდატიც, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კვირიკაშვილი, კალაძე და ქუმსიშვილი ერთმანეთს ივანიშვილთან აბეზღებენ“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ არის მთავრობის ზედამხედველი, ვინ ავრცელებს პრემიერსა და ვიცეპრემიერებზე ჭორებს, რატომ არ ჰყავს კვირიკაშვილს თავისი გუნდი პარლამენტში, ვინ მოითხოვა პატიმრობაში მყოფი ნაციონალების გათავისუფლება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

*– თქვენ გააკეთეთ განცხადება იმის შესახებ, რომ პრემიერი და მისი მოადგილეები ერთმანეთს შავ პიარს უგორებენ. რას გულისხმობთ?*

– მინდა წარმოიდგინოთ ავტომობილი, რომლის 4 ბორბალი სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობს. ასეთ შემთხვევაში არათუ ვერ დაძრავ ავტომობილს, არამედ მას მწყობრიდანაც გამოიყვან. ასე ხდება ჩვენს მთავრობაში და ამიტომაც იმყოფება ქვეყანა სტაგნაციაში.

ახლა რაც შეეხება მთავრობის შიგნით არსებულ დაპირისპირებას – გიორგი კვირიკაშვილი და მისი ორი მოადგილე ერთმანეთის ჩაძირვაზე არიან გადასული. ამ სქემაში მონაწილეობს კიდევ მეოთხე პერსონა, ეკონომიკის მინისტრი გიორგი გახარია. ეს უკანასკნელი ნაკლებად აქტიურობს, მაგრამ ყველაზე მთავარი ფიგურაა. რამდენადაც ჩემთვის სახელისუფლებო კულუარებიდან ცნობილი გახდა, ეს ოთხეული ერთმანეთის ოდეერებად არიან დანიშნული.

*– ეს რას ნიშნავს?*

– იმას, რომ ეს ადამიანები ერთმანეთს აკონტროლებენ. ეს ინფორმაცია 100%-იანი სიმართლეა.

*– რომელი რომელს აკონტროლებს?*

– პრემიერს ოდეერად მიჩენილი ჰყავს ქუმსიშვილი, ქუმსიშვილის ოდეერი გახარიაა, გახარიას ოდეერია კალაძე, კალაძის ოდეერი კი პრემიერია. მინდა, ისიც იცოდეთ, რომ ესენი ბიძინა ივანიშვილის ოდეერები არიან. ისინი ერთმანეთს სწორედ ყოფილ პრემიერთან აბეზღებენ, ერთმანეთისთვის „პადნოჟკების“ დადებაზე არიან გადასული და, რა გასაკვირია, ქვეყანა თავზე რომ გვემხობა.

მე ისიც მიკვირს, ამათ ხელში „ქართუ ბანკმა“ როგორ გაიხარა! ანდა როდის იყო გახარებული, 2012 წლამდე ქართული ბანკების ხუთეულშიც კი არ შედიოდა და მის შესახებ საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა.

გარდა იმისა, რომ ეს ოთხეული ერთმანეთს აკონტროლებს, ისინი ერთმანეთის ჩაძირვაზეც მუშაობენ, ამით გავლენის სფეროებს აფართოებენ. ყველა მათგანს საკმაოდ სერიოზული ხალხი უმაგრებს ზურგს. კვირიკაშვილის უკან მამუკა ხაზარაძე და მისი ბანკი მოიაზრებიან, რაც ძალიან სერიოზული ძალაა. სავარაუდოდ, კვირიკაშვილი ლობირებს დედაქალაქის მერის პოსტზე ხაზარაძის კანდიდატურის წარდგენას.

*– როგორც ამბობენ, ამ პოსტზე „ოცნება“ კახა კალაძის კანდიდატურის წარდგენას აპირებს.*

– თბილისის მერობა მაგასაც ძალიან უნდა, მაგრამ გაზპრომთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მოღალატის იარლიყი მიეწება და ამ სახელით მერის არჩევნების მოგება გაუჭირდება.

*– კალაძეს რატომ მიეწება ეს იარლიყი? ყველამ კარგად იცის, რომ ეს შეთანხმება ენერგეტიკის მინისტრის ინიციატივით არ გაფორმებულა.*

– გასაგებია, რომ ამ შეთანხმების უკან სხვა დგას, მაგრამ ფაქტია, ხელები კალაძეს შეეწმინდა. ადრე სულ ტელევიზორში იყო გამოჭიმული, ამ შეთანხმების შემდეგ არსად გამოჩენილა.

სერიოზულ შარშია დიმიტრი ქუმსიშვილიც. მას მიკროსაფინანსოები და სვანი ბიზნესმენები უმაგრებენ ზურგს. ბოლო კვირების განმავლობაში მის წინააღმდეგ ისეთი ჭორები გავრცელდა, რომ მეეჭვება, მისი საქმე კარგად წავიდეს.



## „გიორგი გახარიას პრეზიდენტობისთვის ამზადებენ“

ამ ოთხეულში ყველაზე სერიოზულად გიორგი გახარია გამოიყურება. სხვებისგან განსხვავებით, ის არც შარში გახვეულა და არც პრეტენზიები ისმის მის მიმართ.

*– ეკონომიკა საკმაოდ შავ დღეშია და ასეთ დროს ეკონომიკის მინისტრის მიმართ რატომ არ უნდა იყოს პრეტენზიები?*

– დავიწყოთ იმით, რომ ის ახლახან დაინიშნა ამ თანამდებობაზე. ამასთან, ეკონომიკის სამინისტრო ფინანსთა სამინისტროზე უფრო დაბლა დგას. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ პრემიერისა და ვიცეპრემიერების ფონზე გახარია ძალიან საეჭვოდ არის გამოწყობილი გაუსვრელ თეთრ ფრაკში. არა მგონია, ეს შემთხვევითი იყოს. არ გამოვრიცხავ, რომ ახლო მომავალში სწორედ მან დაიკავოს მთავრობის მეთაურის პოსტი.

*– რამდენიმე კვირის წინ „ახალმა თაობამ“ დაწერა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გახარია მოიაზრებოდა კვირიკაშვილის შემცვლელად. ეს ინფორმაცია მმართველმა გუნდმა კატეგორიულად უარყო.*

– „ქართული ოცნების“ წევრების დიდი უმეტესობა საერთოდ აზრზე არ არის, რა ხდება ხელისუფლებაში. მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ გახარია ერთ-ერთი ყველაზე გაუსვრელი მინისტრია. რამდენადაც მე ვიცი, ის ჯერჯერობით არანაირ ბიზნესს არ ლობირებს. ეკონომიკის მინისტრობისას ის მხოლოდ ივანიშვილის ოდეერის ფუნქციას ასრულებს და ვიღაცებს აკონტროლებს. თავის მხრივ, კონტროლი ცუდი არ არის.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ხმები მისი შესაძლო გაპრემიერების შესახებ ვიცეპრემიერების ყურამდეც არის მისული და ორივე გიჟს ჰგავს.

*– კვირიკაშვილი გაგებით ეკიდება მის შესაძლო შეცვლას?*

– წესით, უნდა უხაროდეს, თუ შეცვლიან. ის არ არის ისეთი პიროვნება, რომელიც მაგიდაზე ხელს დაარტყამს და ასე მოითხოვს საქმის გაკეთებას. ირაკლი ღარიბაშვილს ამის გაკეთება შეეძლო. ამას არც ეს შეუძლია და არც მთავრობაში ჰყავს თავისი გუნდი.

*– თავისი გუნდი მთავრობაში არც ღარიბაშვილს ჰყავდა.*

– ასე ნამდვილად არ იყო. მას, კვირიკაშვილისგან განსხვავებით, მინისტრებში ჰყავდა გუნდი. მოქმედ პრემიერს პარლამენტშიც კი არ ჰყავს საკუთარი გუნდი. ამ პარლამენტს კალაძე აკონტროლებს. კვირიკაშვილს იქ მხოლოდ 2 კაცი ჰყავს. ესენი არიან ბიძინა გეგიძე და ლევან გოგიჩაიშვილი. ორივე მათგანი ძალიან მაგარი ადამიანია, მაგრამ ვერაფერს გახდებიან. მთავრობაში მას მხოლოდ ნაცარქექიებზე მოსაუბრე ალექსანდრე ჯეჯელავა უჭერს მხარს.



*– გახარიას თუ ჰყავს ვინმე პარლამენტში?*

– გახარიას ზურგს უმაგრებს ბიძინა ივანიშვილი. მასთან დაკავშირებით მთავრობის ადმინისტრაციაში საინტერესო ინფორმაციები გავიგე. კერძოდ, მთავრობის ადმინისტრაციაში რამდენიმე ისეთი დეპარტამენტია შექმნილი, რომლებითაც ეკონომიკის მინისტრს ფინანსთა სამინისტროს გაკონტროლება შეუძლია.

ზემოთ თავად მითხარით, რომ რამდენიმე კვირის წინ გავრცელებულა ინფორმაცია ამ ადამიანის შესაძლო გაპრემიერების შესახებ. დამიჯერეთ, ეს ინფორმაცია შემთხვევით არ გამოჟონილა მთავრობიდან. ასევე შემთხვევით არ დაუწყიათ „ოცნების“ წევრებს შარშან უგულავასა და მერაბიშვილის ქება. მათ მიმართ სადიდებელი კვირიკაშვილის მარჯვენა ხელმა დათო კოღუაშვილმა აღავლინა.



## ლადო სადღობელაშვილი: „ეს მშიერი ხალხი ქუჩაში თუ გამოვიდა, მაგ კონსტიტუციას თავზე გადაგახევენ!“

*– ამის გამო მას საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნა და საარჩევნო სიიდანაც კი ამოაგდეს, სადაც პირველ ათეულში მოიაზრებოდა.*

– კოღუაშვილი, მართალია, სიის მიღმა დარჩა, მაგრამ უგულავა გამოვიდა გარეთ და, როგორც ამბობენ, თებერვალში მის ბედს ვანო მერაბიშვილი გაიზიარებს. მე კი მგონია, რომ ყოფილი შს მინისტრი გარეთ მაისში გამოვა.

*– მაისში რატომ?*

– მას ციხიდან გმირად უნდა გამოსვლა.

*– მერაბიშვილი ციხიდან გმირად როგორ გამოვა?*

– თუ ევროპული სასამართლო პოლიტპატიმრად ცნობს, გმირად გამოვა.

*– ცნობს პოლიტპატიმრად მას ევროსასამართლო?*

– უეჭველად ცნობს. იუსტიციის მინისტრმა და წინა მთავარმა პროკურორმა ბევრი შეცდომა დაუშვეს, რაც ევროსასამართლოს მერაბიშვილის პოლიტპატიმრად აღიარებაში დაეხმარება.

*– ხალხის რეაქცია როგორი იქნება ამაზე?*

– ძალიან მძიმე იქნება, მაგრამ აღარაფერი შეიცვლება. ასე მგონია, რომ კიდევ რამდენიმე ბობოლა ნაცს გამოუშვებენ ციხიდან. არც ის ყოფილა შემთხვევითი, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა კაბელების საქმეზე დაკავებულები რომ შეიწყალა. ეს ყველაფერი დასავლეთიდან მოსულ დირექტივებს უკავშირდება. სწორედ ამიტომ ვერ უხერხებს ვერაფერს ივანიშვილი რუსთავი 2-ს. დასავლეთის მკვეთრი პოზიცია რომ არა, ამ ტელევიზიის საქმე კარგა ხნის დამთავრებული იქნებოდა.

ბობოლა ნაცების გარეთ გამოსვლაზე ხალხი პასუხს კვირიკაშვილს მოსთხოვს და მის აქტივში კიდევ ერთი მინუსი ჩაიწერება. არადა, ყველაფერი ივანიშვილის გაკეთებულია.

*– ივანიშვილი ახსენეთ და მის გაუჩინარებაზე რას იტყვით? რამდენიმე თვეა, არსად გამოჩენილა და რამეს ხომ არ აპირებს?*

– მისი გაქრობა უჩვეულო არ უნდა იყოს. ის ასევე გაქრა 2013 წლის ნოემბრიდან, როცა პრემიერი გახდა ირაკლი ღარიბაშვილი. ივანიშვილი შორიდან აკვირდება პროცესებს და უყურებს, გაქაჩავს თუ არა ეს მთავრობა. მთავრობამ ვერ გაქაჩა და აქ აუცილებლად მოხდება ცვლილებები. პრემიერობის ყველაზე მეტი შანსი კი გახარიას აქვს.

*– ზემოთ თქვით, რომ ეს ხმები კალაძემდეც არის მისული და გიჟს ჰგავს. ისიც აღნიშნეთ, რომ პარლამენტს ის აკონტროლებს. დაამტკიცებს მის კონტროლქვეშ მყოფი საკანონმდებლო ორგანო მთავრობის მეთაურად გახარიას?*

– ყველაფერი ისე იქნება, როგორც ივანიშვილი იტყვის. ამბობენ, რომ მთავრობა მაისში შეიცვლება. მე მგონია, რომ ამ მთავრობას თვითმმართველობის არჩევნებამდე მიათრევენ ხელოვნურად. კალაძემ რომ პრობლემები არ შექმნას, არ არის გამორიცხული, მისი კანდიდატურა თბილისის მერის პოსტზე წარადგინონ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ქუმსიშვილის კანდიდატურაც წარადგინონ.

ქვეყანაში ისეთი არეული მდგომარეობაა, ვერ გაიგებ, რას უნდა ელოდო. ბოლო 2 თვეში ყველაფერი გაძვირდა. ფასები ნამდვილად ევროპულია, ხელფასები კი ქართულია ანდა საერთოდ არ არის. 25%-ით არის მომატებული ყველაფრის ფასი! ერთადერთი, ჯერჯერობით კომუნალური გადასახადები არ გაზრდილა, თუმცა ისეთი პირი უჩანს, ისინიც გაიზრდება! მართლა მაინტერესებს, პენსიონერი 180 ლარად როგორ ცხოვრობს?!

მივმართავ ხელისუფლებას, რომელიც ცდილობს, ხალხის ყურადღება კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე გადაიტანოს – ვის რაში აინტერესებს თქვენი კონსტიტუცია?! ადამიანებს საჭმლის ფული არ აქვთ. ეს მშიერი ხალხი ქუჩაში თუ გამოვიდა, მაგ კონსტიტუციას თავზე გადაგახევენ! რად გინდა კონსტიტუცია, მიწა, წყალი, ხე, თუ იქ ისეთი ეკონომიკურ-სოციალური პირობებია, რომ ადამიანი ვერ იცხოვრებს! ხელისუფლება ან ყველაფერს შეცვლის, ან თავად შეიცვლება, ოღონდ არა ისე, ერთს მეორეთი რომ ანაცვლებენ.

# საქართველოს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ეწვევა

საქართველოს დღეს, 30 იანვარს, ოფიციალური ვიზიტით ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ტორბიორნ იაგლანდი ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში გენერალური მდივანი ოფიციალურ შეხვედრებს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართავს.

ტორბიორნ იაგლანდი საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, საგარეო საქმეთა მინისტრს, იუსტიციის მინისტრსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს შეხვდება.

საგარეო საქმეთა სამინისტროში მიხეილ ჯანელიძესთან გამართული შეხვედრის შემდგომ საგარეო საქმეთა მინისტრი და გენერალური მდივანი ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ.

საგარეო უწყების ინფორმაციით, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში საქართველო-ევროპის საბჭოს თანამშრომლობის საკითხები იქნება განხილული. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას და ევროპის საბჭოს ჩართულობას კონფლიქტის ზონებში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებსა და ნდობის აღდგენის პროცესში.

მხარეები ასევე 2016-2019 წლებისთვის ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმას განიხილავენ, რომელიც საქართველოში სამართლის უზენაესობას, ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფასა და ნდობის აღდგენის პროცესის ეფექტურ განხორციელებას ითვალისწინებს.

ტორბიორნ იაგლანდი საქართველოს 31 იანვარს დატოვებს.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ლევან ჩაჩუა: „საქართველოს პოლიტელიტამ ტრამპის ადმინისტრაციასთან ურთიერთობები გააფუჭა“

მარიამ მჭედლიშვილი

საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობა „ქართულმა იდეამ“ შაბათს დედაქალაქის ცენტრში საპროტესტო აქცია გამართა. მონაწილეები გამოვიდნენ ნეოლიბერალური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც, მათი შეფასებით, ატარებს საქართველოს ხელისუფლება და რომელსაც მისდევს ნაციონალური მოძრაობა. „ახალი თაობა“ მოძრაობის ლიდერ ლევან ჩაჩუას ესაუბრა.



***— აცხადებთ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ნეოლიბერალური პოლიტიკის მიმდევარია. რომელი გადაწყვეტილებები გაქვთ მხედველობაში?***

— ამ ხელისუფლებამ წინა მოწვევის პარლამენტში მიიღო ანტიდისკრიმინაციული და იუვენალური კანონები. ეს ის კანონებია, რომლებსაც ლობირებდა ლიბერალური ინტერნაციონალი. ამერიკის ახალი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მოსვლით დაიწყო ახალი პოლიტიკა მსოფლიოში და დამარცხდა ნეოლიბერალიზმი. მსოფლიოში დიდი ცვლილებებია, ჩვენი პოლიტიკური ელიტა კი, ქოცებისა და ნაცების შემადგენლობით, ისევ რადიკალურ ლიბერალიზმშია ჩარჩენილი და ტრამპს უპირისპირდება.

***— ხელისუფლებამ ამ პოლიტიკის შესაბამისი სხვა გადაწყვეტილებებიც მიიღო?***

— რასაკვირველია. ამის მაგალითია ტრამპის მოწინააღმდეგე მაკეინის საქართველოში მოწვევა.

***— სენატორების ორპარტიულმა დელეგაციამ მაკეინის მეთაურობით თვითონ გამოთქვა სურვილი, ჩამოსულიყო საქართველოში, ასევე ესტონეთსა და უკრაინაში.***

— საქმე ბევრად უფრო რთულადაა, ვიდრე ბევრს წარმოუდგენია. აშშ-ის ფედერალური ბიურო მაკეინის საქმეს იძიებს. იგი ეჭვმიტანილია

## „ამერიკაში ანტისოროსული გამოსვლები იწყება“

იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასა და ვაჭრობაში. ამ საქმიანობაში მისი მოკავშირე იყო ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება.

დღეს იმავე საქმეს აგრძელებს „ოცნების“ ნაწილი. ჩვენი ემიგრაციის წარმომადგენელ დავით კარტოზიას აქვს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ მაკეინი ჩაბმულია იარაღისა და ნარკოტიკების ბიზნესში ქართულ მხარესთან ერთად. იკვეთება მისი კავშირები ისლამურ სახელმწიფოსთან. გამოძიება რომ დასრულდება, არც ამათ დაეყრებათ კარგი დღე.

ჩვენ გვაწუხებს არა მარტო ნეოლიბერალური პოლიტიკა, არამედ, კონკრეტული დანაშაული, ბინძური ფული და ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯები. საქართველოს პოლიტელიტამ უკვე გააფუჭა ურთიერთობები ტრამპის ადმინისტრაციასთან. ეს ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებაა.

***— სენატორების დელეგაციის მიღებით ურთიერთობები გაფუჭდა?***

— ეს საამისოდ ერთ-ერთი მიზეზი იყო.

## „ქვეყანა „ოცნებისა“ და ნაციონალების ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებებისაგან უნდა დავიხსნათ“

მაკეინის პროვოკაციული და გამომწვევი განცხადებები საოკუპაციო ზოლთან ქვეყნისთვის კარგის მომტანი არ არის, მაგრამ მხოლოდ ეს არ ყოფილა. თბილისში 20 იანვარს, ინაუგურაციის დღეს, ტრამპის საწინააღმდეგო მარშიც გაიმართა. ქართული ტელევიზიები ამ მარშს მთავარ თემად აშუქებდნენ.

***— აქციაზე სოროსიც გააკრიტიკეთ.***

— ჯორჯ სოროსმა დააფინანსა ეს მარშები ტრამპის წინააღმდეგ აშშ-შიც და სხვა ქვეყნებშიც. ერთ-ერთი მარში ლესბოსელებისა და მათი მხარდამჭერების მონაწილეობით ჩატარდა თბილისშიც. როგორ გგონიათ, ტრამპი ამას ვერ გაიგებდა? სოროსმა ერთხელ დავოსში იამაყა იმით, რომ საქართველოში წარმატებული ექსპერიმენტი ჩაატარა.

***— ვარდების რევოლუცია?***

— დიახ. მოგვიანებით მან ეს გამოცდილება სხვაგან გადაიტანა და მოაწყო ნარინჯისფერი რევოლუცია და არაბული გაზაფხული, რომელმაც ნგრევა და სისხლისღვრა მოიტანა. საქართველო იყო პირველი სოროსის ექსპერიმენტებში. ნიშანდობლივია, რომ სწორედ საქართველო დადგა ახალი ტალღის ავანგარდში.

***— რომელი ტალღის?***

— მალე ამერიკიდან დაიწყება მოძრაობა „შეაჩერე სოროსი“. ჩვენ მათ დავასწარით. „ქართულმა იდეამ“ შეძლო, ყინვაში ანტისორისულ და ანტინეოლიბერალურ საპროტესტო აქციაზე გამოეყვანა 800-მდე ადამიანი. ეს აქცია პირველია. მალე დაიწყება ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველო უნდა დავიხსნათ ქოცებისა და ნაცების ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებებისაგან.

რუსეთთან ხომ ვერააწყვეს ურთიერთობა, ახლა ტრამპთანაც აღარ ჩაესვლებათ! წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაშია ქვეყანა, რომელსაც რუსეთთანაც და სტრატეგიულ პარტნიორ ამერიკასთანაც დაძაბული ურთიერთობები აქვს! ბიძინა ივანიშვილმა შუა გაკრიფა და პოლიტიკურ ველზე, „ოცნების“ გარდა, მხოლოდ 4 ნაწილად დაშლილი ნაცმოძრაობა დატოვა. ამ მკვდარი და სისტემური დანაშაულის ჩამდენი პარტიის გაცოცხლებაც მის კისერზეა.

# თემურ ნადარაია: „ენგურთან საზღვრის გაძლიერების შესახებ აფხაზეთის მოსახლეობის მოთხოვნა გავითვალისწინეთ“

დე ფაქტო აფხაზეთის გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ თემურ ნადარაიას თქმით, 26 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება მდინარე ენგურზე ორი გამშვები პუნქტის დაკეტვის შესახებ გამოქვეყნებიდან 30 დღის შემდეგ ამოქმედდება.

— მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, რომელიც 2017 წლის 26 იანვარს მიიღეს, მისი გამოქვეყნებიდან 30 დღის შემდეგ შევა ძალაში. გამოდის, რომ ის ამოქმედდება თებერვლის ბოლოს, იმ ადამიანებმა კი, რომლებიც უარყოფითად შეხვდნენ ამ ამბავს, საპროტესტო აქციის გამართვა გადაწყვიტეს, — თქვა ნადარაიამ „სპუტნიკ აფხაზიასთან“ ინტერვიუში.



მან ასევე განაცხადა, რომ ხელისუფლებამ გაითვალისწინა მოსახლეობის მოთხოვნა მდინარე ენგურზე საზღვრის გაძლიერებასთან დაკავშირებით. ნადარაიამ აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის ფინანსური ხელშეწყობით, 2 წლის განმავლობაში ტარდებოდა საგზაო და ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რათა მოსახლეობას გაუადვილდეს მთავარ საგუშაგო „ენგურამდე“ მისვლა.

გალის რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ასევე გამოეხმაურა საქართველოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებს მდინარე ენგურზე საგუშაგოთა შემცირების შესახებ.

— შევეჩვიეთ ქართული მხარის რეაქციას. ბუნებრივია, ქართულ მხარესა და ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციებს არ სურთ, რომ აქ სახელმწიფოებრივი საზღვარი იყოს. ისინი ფიქრობენ, რომ ის არც არსებობს და ეს მხოლოდ ადმინისტრაციული საზღვარია. აფხაზეთი რომ საქართველოს ეკუთვნის, ნაცნობი სიმღერაა, რომელსაც საქართველო ყველგან ატრიალებს, — განაცხადა ნადარაიამ.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ საქართველოსთან მისასვლელი 4 გამშვები პუნქტიდან მხოლოდ 2 დატოვა. შემცირება 2 ეტაპისგან შედგება. მომავალში მხოლოდ ერთი საკონტროლო პუნქტის დატოვება იგეგმება.

25 იანვარს გალის რაიონის ადგილობრივმა მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა . 200-მდე ადამიანმა საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე მთავარი გამშვები პუნქტი „ენგური“ გადაკეტა.

**მედიანიუსი**

# დავით ბაქრაძე ირაკლი კობახიძეს შეხვდა

საპარლამენტო ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ ლიდერი დავით ბაქრაძე პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს შეხვდა.



როგორც დავით ბაქრაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ მედიას განუცხადა, იყო სამუშაო შეხვედრა და პარლამენტის თავმჯდომარესთან საკანონმდებლო ინიციატივებზე ისაუბრა.

— იწყება საგაზაფხულო სესია. ჩვენ რამდენიმე ინიციატივა გვაქვს შეტანილი და მაინტერესებდა, როდის მოხდებოდა ამ ინიციატივების განხილვა და მზად არის თუ არა უმრავლესობა იმისთვის, რომ ამ ინიციატივებზე იმსჯელოს. გარდა ამისა, იყო ჩვეულებრივი სამუშაო თემები. როდესაც იწყება სესია, ბუნებრივად ხდება სესიის სამუშაო პერიოდის დაგეგმვა, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

**მედიანიუსი**

# კონტრაბანდული სიგარეტი ბიზნესსაც დააზარალებს და ბიუჯეტსაც

წლის პირველივე თვეში საქართველოში სიგარეტის დიდი ოდენობის კონტრაბანდა გამოვლინდა.

შემოსავლების სამსახურის ცნობით, 10 დღეში საბაჟოზე სიგარეტის უკანონოთ შემოტანის 3 მცდელობა დაფიქსირდა. მაგალითად, სომხეთის მოქალაქეს საქართველოში კუთვნილ ავტომანქანაში, სავარძლების ქვეშ მოწყობილი სპეციალური სამალავებით არადეკლარირებული სიგარეტი შემოჰქონდა.

ამის შესახებ მთავრობას ბიზნესი მას შემდეგ აფრთხილებდა, რაც 1 კოლოფ სიგარეტზე აქციზი 60 თეთრით გაიზარდა.

თემაზე ბიზნესკონტრაქტთან ეკონომისტი **ლაშა გოცირიძე** საუბრობს.



***— ბატონო ლაშა, სამწუხაროდ, სიგარეტის კონტრაბანდასთან დაკავშირებით ბიზნესის მოლოდინები გამართლდა. არის თუ არა ბევრი საბაჟოზე სიგარეტის უკანონოდ გადმოტანის 3 შემთხვევა?***

— ეს მოლოდინები რაღაც განსაკუთრებული არ ყოფილა, რადგან ეს სტანდარტულია, როდესაც ერთგან ნებისმიერი პროდუქტი უფრო იაფი ღირს, ვიდრე სხვაგან. მეწარმეები ცდილობენ, რომ პროდუქცია სადაც იაფი ღირს, იქიდან იქ გადაიტანონ, სადაც ძვირი ღირს და გაყიდონ. იგივე ეხება სიგარეტსაც და ამის შედეგები სახეზეა. 3 კვირაზე ცოტა მეტია გასული აქციზის მომატებიდან და უკვე რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.

***— არის თუ არა საფრთხე იმისა, რომ კონტრაბანდულმა სიგარეტმა ბიზნესს ხელი შეუშალოს, გაყიდვები შეუმციროს?***

— რა თქმა უნდა, ნებისმიერი კონტრაბანდა ლეგალურ ბიზნესს ხელს უშლის და ამ შემთხვევაში ჩვენ უბრალოდ იმედი უნდა გვქონდეს, რომ ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური და საბაჟო ორგანოები კონტრაბანდის მნიშვნელოვნად აღკვეთას შეძლებენ, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მაგალითად, სომხეთსა და საქართველოს შორის ძალიან დიდია ფასთა და გადასახადებს შორის სხვაობა, ამის იმედი გვაქვს, მაგრამ მოლოდინები – ნაკლები.

***— წელს უფრო ნეგატიური მოლოდინებია, ვიდრე პოზიტიური?***

— სამწუხაროდ, ჩემი მოლოდინი უფრო ნეგატიურია. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდება, თუ ჩემი მოლოდინი არ გამართლდება და სასაზღვრო ორგანოები, რომლებიც ამ კონტრაბანდას ებრძვიან, შეძლებენ მის აღკვეთას და ჩვენთან მხოლოდ ლეგალური სიგარეტი შემოვა. შესაბამისად, ბიუჯეტი მეტ თანხას მიიღებს.

კონტრაბანდული სიგარეტის შემოსვლით, ერთი მხრივ, ბიზნესი და, მეორე მხრივ, ბიუჯეტი დაზარალდება. შესაბამისად, ბიუჯეტიდან იმ ხარჯების გაწევა გართულებული იქნება, რაც დაგეგმილია.

სომხეთში სპეციფიკური აქციზი არსებული კურსით 70 თეთრი გამოდის, მაშინ, როდესაც ჩვენს შემთხვევაში 1 ლარი და 80 თეთრია. ფასში ლარზე ცოტა მეტით სხვაობაა და ეს ისეთი მნიშვნელოვანი ფასთა სხვაობაა, რომ მეწარმეებს ასეთ კონტრაბანდულ საქმიანობაში ჩართვისკენ უბიძგებს.

**ბიზნესკონტრაქტი**

# საქართველოში ვირების პირველი ფერმა გაიხსნა

ფერმერმა თემურ ლომიძემ საქართველოში ვირების პირველი ფერმა გახსნა. მას მეურნეობაში 60 სახედარი ჰყავს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეიძინა.

მისივე თქმით, ვირის რძე ბავშვის საკვებად, მედიცინაში, ასევე, კოსმეტიკური საშუალებების დასამზადებლად გამოიყენება. ერთი ლიტრი ვირის რძე 60 ლარი ღირს.

— ვირების ფერმის გახსნის იდეა მეგობარმა შემომთავაზა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 6 თვე დავდიოდი ვირების საყიდლად და ბოლოს 60 სულამდე შევაგროვე. საქართველოში ვირის ძირითადი დანიშნულებაა, რომ ტვირთი ზიდოს. საზღვარგარეთ კი ვირის რძისგან სამედიცინო და კოსმეტიკურ პრეპარატებს კლეოპატრას დროიდან ამზადებენ.

ვირის რძეში არის ლაქტოზა, რომელიც კანის დაბერებას უშლის ხელს. ვირის რძეს ცე ვიტამინი და კალცი აქვს ძალიან მაღალი შემცველობით, რაც ბავშვების იმუნურ სისტემას აუმჯობესებს. იტალიაში არის ფერმები, რომელიც პირდაპირ არის მიბმული საბავშვო ბაღებთან და დილით ყველა ბავშვს 60 გრამ რძეს ასმევენ.

ვირის რძე ყველაზე ახლოს დგას დედის რძესთან. ევროპაში ყველაზე ძვირადღირებული ბავშვის საკვებს ამ რძისგან ამზადებენ. საქართველოში თუ ეს მოთხოვნა არ გავაჩინეთ, ევროპას ვერასდროს გავუთანაბრდებით. იქ სუპერმარკეტში იყიდება ეს რძე. საქართველოში ერთი ლიტრი ვირის რძე 60 ლარი ღირს. თითო ვირი დაახლოებით 250-300 გრამს იწველება. ჩვენი მიზანი ვირის რძის წარმოებაა, — განაცხადა გადაცემა „ფერმაში“ თემურ ლომიძემ.



მისივე თქმით, უახლოეს პერიოდში ფერმაში ვირების რაოდენობის 100 სულამდე გაზრდას გეგმავს.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# ცხინვალში საარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყო

## კანდიდატებს ოსური გრამატიკისა და კოსტა ხეთაგუროვის ლექსების დაზუთხვაც მოუწევთ

შორენა მარსაგიშვილი

**ცხინვალში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებიან. არჩევნები მიმდინარე წლის აპრილში ტარდება. კანდიდატების განაცხადების მიღება ცესკომ რამდენიმე დღის წინ დაიწყო. ამ მომენტისთვის განაცხადი უკვე 5-მა მსურველმა შეიტანა. ადგილობრივი მედია და ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტობის სურვილი კიდევ რამდენიმე პერსონას გაუჩნდება.**

2011 წლის საპრეზიდენტო არჩევნები აქ კინაღამ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. დაპირისპირება ჯერ პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაციას მოჰყვა, შემდეგ კი არჩევნების შედეგებს მოჰყვა არეულობა.

საქმეში ჩახედული ხალხი არ გამორიცხავს, რომ ვითარება წელსაც დაიძაბება. მოსალოდნელი არეულობის შიშმა შეიპყრო სამხრეთელთა მოქმედი პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი.

მან საგანგებო განცხადება გაავრცელა და არჩევნებში მონაწილე სუბიექტებსა და მათ მხარდამჭერებს სთხოვა, ხელისუფლებისა და ოპონენტების ლანძღვისგან მაქსიმალურად შეიკავონ თავი.

თავის მხრივ, ის პირობას დებს, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა არჩევნები დემოკრატიულ გარემოში ჩატარდეს.

– არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს იმის გამეორება, რასაც 2011 წელს ჰქონდა ადგილი. მე ვარ პრეზიდენტი და ქვეყნის კონსტიტუციის გარანტი. შესაბამისად, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ არჩევნები დემოკრატიულად და საარჩევნო კანონმდებლობის დაცვით ჩატარდეს, – აღნიშნა ლეონიდ თიბილოვმა.

ამ არჩევნებში ის მეორე ვადით იყრის კენჭს და წარმატების იმედიც აქვს.

ხელისუფლებას კიდევ მეორე კანდიდატი ეყოლება პარლამენტის თავმჯდომარის სახით. ანატოლი ბიბილოვი „ერთიანი ოსეთის“ საპრეზიდენტო კანდიდატი იქნება.

ის და თიბილოვი პრორუსულად განწყობილი ოსების გულების მოგებას შეეცდებიან. ერთიც და მეორეც თავს არ ზოგავენ იმის დასამტკიცებლად, რომ მოსკოვის კაცები არიან. ორივე მათგანი ცალ-ცალკე გამოვიდა რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით, რომელმაც ცხინვალის რეგიონის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა უნდა გადაწყვიტოს.

თიბილოვსაც და ბიბილოვსაც მოსკოვის მხარდაჭერის იმედი აქვთ. პარლამენტის თავმჯდომარეს რუსეთის თავდაცვის მინისტრი გენერალი შოიგუ უჭერს მხარს. შოიგუ მას 2011 წელსაც უჭერდა მხარს, მხარდაჭერის გამოსახატავად ის ცხინვალშიც კი ჩავიდა. მაშინ ბიბილოვი პრეზიდენტ კოკოითის შემცვლელად მოიაზრებოდა.

2011 წელს მას ვერც კოკოითისა და ვერც შოიგუს მხარდაჭერამ ვერ უშველა. მან არჩევნები ოპოზიციონერ ალა ჯიოევასთან წააგო. მაშინ არჩევნების 2 ტური გაიმართა. პირველმა




ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მეორე ტური ჯიოევამ მოიგო, მაგრამ კოკოითის მოთხოვნით უზენაესმა სასამართლომ შედეგები გააუქმა. ამას ლამის სამოქალაქო ომი მოჰყვა.

ბიბილოვმა არჩევნებში კიდევ ერთხელ მონაწილეობაზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ არ სურდა, სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზი გამხდარიყო. ბოროტი ხმები კი ამბობენ, რომ მას ყველაზე მეტად ის ეწყინა, ქალთან რომ იწვნია მარცხი და ამიტომაც რამდენიმე წელი გაუჩინარდა.

მაშინ ალა ჯიოევას მხარს თედეევების კლანი უჭერდა. ამ კლანის კაშკაშა წარმომადგენელ ძამბოლატ თედეევს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს, არადა, ამისთვის მან რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა თავისუფალ ჭიდაობაში.

გასულ წელს გავრცელდა ხმა, რომ ის ისევ აპირებდა არჩევნებში მონაწილეობას. რუსებმა ის სასწრაფოდ დანიშნეს ნაკრების მთავარ მწვრთნელად. როგორც ამბობენ, მოსკოვს ძალიან აშინებს მისი მეგობრული კავშირები ქართველებთან.

ამ არჩევნებზე ის თავისი კლანით მხარს ანატოლი ბიბილოვს უჭერს. პრორუსულად განწყობილი ოსების გარდა, მას ცხინვალის რეგიონში მცხოვრები სომხებიც დაუჭერენ მხარს. როდესაც თურქეთმა რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდო და მოსკოვსა და ანკარას შორის სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, ბიბილოვი გამოვიდა და თქვა, რომ ცხინვალის პარლამენტი თურქეთის მიერ სომხების გენოციდს აღიარებდა.

არჩევნებში მონაწილეობას აპირებს ბიბილოვის ყოფილი მფარველი ედუარდ კოკოითიც. საინიციატივო ჯგუფმა მისი კანდიდატურა უკვე წარუდგინა ცესკოს. ადგილობრივი მედიის ცნობით, ცესკომ ყოფილი პრეზიდენტი, შესაძლოა, რეგისტრაციაში არ გაატაროს, რადგან ის ბოლო პერიოდში მოსკოვში ცხოვრობდა. ოსური კანონმდებლობით, არჩევნებში მონაწილე პირს ბოლო წლები რესპუბლიკაში უნდა ჰქონდეს ნაცხოვრები.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა ადგილობრივი პარლამენტის დეპუტატმა ალან კოზანოვმა. ის საკანონმდებლო ორგანოში „ხალხთა ერთობის“ სიით მოხვდა, პრეზიდენტობის კანდიდატად კი მხარდამჭერთა გუნდმა წარადგინა.

პრეზიდენტობის ამბიციები გაუჩნდა ადგილობრივი უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსან ალან გაგლოევს. მხარდამჭერებმა მისი კანდიდატურა ამ დღეებში წარადგინეს ცესკოში.

კანდიდატურების წარდგენა ამ დღეებშიც გაგრძელდება. მსურველი ბევრი იქნება, მაგრამ, როგორც ცესკოში ამბობენ, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ რამდენიმე მოიპოვებს.

◆ ◆ ◆

პრეზიდენტობისთვის ბრძოლის უფლებისთვის კანდიდატებს ოსურ ენაშიც მოუწევთ გამოცდის ჩაბარება. ცვლილება საარჩევნო კოდექსში ახლახან შეიტანეს, 23 იანვარს კი პრეზიდენტმა თიბილოვმა გამოსცა ბრძანება, რომ ცესკოში ლინგვისტური კომისია შეიქმნას.

ასე რომ, კანდიდატებს, საარჩევნო დაპირებების გარდა, ოსური გრამატიკისა და კოსტა ხეთაგუროვის ლექსების დაზუთხვაც მოუწევთ.

# არჩილ თალაკვაძე: „პრეზიდენტის არჩევის წესი მისი პოლიტიკური როლის შესაბამისი უნდა იყოს“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა არჩილ თალაკვაძემ პრეზიდენტის უფლებამოსილების შესაძლო შემცირებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

თალაკვაძის თქმით, პრეზიდენტის არჩევის წესი და მოდელი უნდა იყოს მისი ფუნქციების, უფლებამოსილებებისა და მისი პოლიტიკური როლის შესაბამისი.

– ჩვენ კი არ ვიხრებით საპარლამენტო მოდელისკენ, არამედ ეს მოდელი უკვე რეალურად გვაქვს ქვეყანაში. ამიტომ ბუნებრივია, საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესში და რეფორმაში აისახება და კიდევ უფრო გაძლიერდება ინსტიტუციურად ეს მოდელი. შესაბამისად, ცვლილებები, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, ბუნებრივია, ამ მოდელსა და საპარლამენტო მოდელის გრძელვადიან შემდგომ განმტკიცებაზეა მორგებული, – ამბობს თალაკვაძე.

კონსტიტუციონალისტ ვახუშტი მენაბდის თქმით, პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი უფრო მისაღებია არსებული საპარლამენტო მოწყობის გათვალისწინებით.



– რა თქმა უნდა, არ არსებობს უნივერსალური მოდელი პრეზიდენტის არჩევის წესის. ეს დამოკიდებულია ბევრ სხვა საკითხზე. ერთპალატიანი პარლამენტის პირობებში და უნიკალური ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით ძალიან კრიტიკულები უნდა ვიყოთ პრეზიდენტის ირიბი წესით არჩევის მიმართ, – ამბობს მენაბდე.

მედიანიუსი

# როგორ აღმოჩნდა აფხაზური დელეგაცია ნიუ იორკის ნუმიზმატიკის კვირეულზე

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი გიორგი თევზაძე პროტესტს გამოთქვამს ოკუპირებული აფხაზეთის ეროვნული ბანკის დელეგაციის ნიუ იორკში 45-ე საერთაშორისო ნუმიზმატიკის ყოველწლიურ კონფერენციაში მონაწილეობის გამო.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სტენდი, რომელზეც ეწერა „აფხაზეთის რესპუბლიკა“. აფხაზური დელეგაციის წევრ აგრბას განცხადებით, გამოფენისთვის სპეციალურად მომზადდა აფხაზური მონეტების სისტემური კატალოგი, რომელიც აფხაზურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა.

გიორგი თევზაძე „ახალ თაობასთან“ საუბარში აშშ-ის საელჩოს მიმართავს, რომ აღნიშნული საკითხი შეისწავლოს და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გააკეთოს.

***– ბატონო გიორგი, როგორ შეიძლებოდა ამის ხელის შეშლა?***

– ამის თაობაზე როგორც საგარეო უწყებას, ასევე საქართველოს ელჩს აშშ-ში მინიმუმ თავის დროზე შესაბამისი ინფორმაცია უნდა ჰქონოდათ, თუმცა ინფორმაციის გავრცელების შემდეგაც არ გაუკეთებიათ საპროტესტო განცხადება.

***– ეს რას ნიშნავს?***

– გვრჩება განცდა, რომ ქმედებაუნარიანი საგარეო უწყება, უბრალოდ, არ გვყოლია. აფხაზებმა უკვე მიიღეს მადლობის წერილი გამოფენის კურატორ კევინ ფოლისგან, ასევე მიიღეს მიწვევა შემდეგ კონფერენციასა და გამოფენაზე.

ახლა მიდის მოლაპარაკებები, რომ აფხაზური საიუბილეო მონეტები უძველეს ნუმიზმატიკურ კატალოგში შეიტანონ. ნუმიზმატიკის საერთაშორისო კვირეული ნიუ იორკში 2-10 იანვარს ჩატარდა.

***– ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი აშშ-ჟენევის მოლაპარაკებებშიც მონაწილეობს. რატომ დაუშვა ასეთი რამ?***

– მინდა მჯეროდეს, რომ ეს იყო ამერიკის მხრიდან გაუცნობიერებლობის შედეგი და ამგვარი ფაქტი აღარ



გამეორდება. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამ ფაქტს მეგობრულ ჟესტს ვერ ვუწოდებთ. ამიტომ მივმართავ ამერიკის საელჩოს, შეისწავლოს აღნიშნული ფაქტი და მოახდინოს რეაგირება, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტება გააკეთოს.

# მამუკა მდინარაძე გიორგი მარგველაშვილს პრეტენზიებს უყენებს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მამუკა მდინარაძე პრეზიდენტის მიერ კაბელების საქმეზე მსჯავრდებულთა შეწყალებას ჰუმანურ აქტად აფასებს.



– როდესაც ისედაც ტოვებდნენ საპატიმროს ძალიან მალე, ეს შეიძლება ჩაითვალოს ძალიან ჰუმანურ აქტად და ძალიან კარგია. ადამიანის გათავისუფლებას ყოველთვის მივესალმები.

ამას აქვს მეორე მხარეც. ამისთვის აუცილებელი არ არის, დარტყმები განახორციელო შენი ქვეყნის დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, როდესაც ამ საქმითვე დადასტურდა კიდევ ერთხელ თვალნათლივ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული – ინსტიტუტები – სასამართლო, პროკურატურა მუშაობენ გამართულად. ერთ-ერთი მაგალითი ამისა იყო სწორედ ეს საქმე, – განუცხადა ჟურნალისტებს მამუკა მდინარაძემ.

მედიანიუსი

# ირმა ინაშვილი: „საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის დაკომპლექტების წესთან პარლამენტს არაფერი ესაქმება“

პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ირმა ინაშვილი მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდსა და თავმჯდომარეს ჟურნალისტური გაერთიანებები უნდა ირჩევდნენ და არა – პარლამენტი.

შესაბამისი განცხადება მან მედიაში გავრცელებული მოსაზრების კომენტირებისასა გააკეთა, რომლის თანახმადაც, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი პარლამენტმა უნდა აირჩიოს.

– მთლიანად არის შესაცვლელი საზოგადოებრივი მაუწყებლის მოდელი. არაფერი ესაქმება საზოგადოებრივ მაუწყებელთან, მისი ბორდის დაკომპლექტების წესთან პარლამენტს. უფრო შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ ამ საკითხს.



მე რომ შემეძლოს და ძალა მქონდეს უმრავლესობის, აუცილებლად შევცვლიდი საზოგადოებრივი მაუწყებლის არსს – ის უნდა იყოს ჟურნალისტების ხელში. ჟურნალისტური გაერთიანებები უნდა არჩევდნენ ბორდს და არა – პარლამენტი; ასევე დირექტორსაც.

ამიტომ არის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ აცდა პოლიტიკურ ზეწოლას და წნეხს. და იქ არის სხვა დინებები, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების გავლენები იგრძნობა საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ის უნდა იყოს თავისუფალი და თავისუფლება შენარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტები აირჩევენ ბორდსაც და მენეჯერსაც, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

მედიანიუსი

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ეროვნულ ბანკს არ შეუძლია აკონტროლოს, რომელი ჰოლდინგის ნაწილია ბანკი“

– ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა ვაღიაროთ. ბუნებაში არ არსებობს, რომ სახელმწიფომ ბიზნესი სრულად გააკონტროლოს. ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ გადაცემა „პოლიტკომერსანტში“ დაგროვების მართვის კომპანია „პირადი ბანკირის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი ბერძენაძემ განაცხადა.

***– მიუხედავად რეგულაციის შემოღებისა, საბანკო სექტორი ამ დრომდე რა ფორმით ახერხებს არაპროფილური აქტივების რეალურ ფლობას?***

– ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობა ჩვენამდე ძალიან ბევრ ქვეყანას მრავალი ათეული წლის წინ დაუდგა. სხვა ქვეყნებთან ერთად, ამის ნათელი მაგალითი აშშ და დიდი ბრიტანეთი იყო.

ამ კუთხით მთავარი კონკურენციის პრობლემაა. წარმოიდგინეთ, დღეს ბიზნესს ფული განაგებს, შესაბამისად, ფულადი რესურსები განვითარებად ქვეყანაში ყოველთვის საჭიროა. ფულადი რესურსები ბანკების ხელშია. ბანკი, შესაძლოა, პირდაპირ, იურიდიულად არ ფლობდეს კომპანიას და ის ჰოლდინგის შემადგენელი ნაწილი იყოს. ამ შემთხვევაში არაპირდაპირი ბენეფიციარი მაინც ბანკი გამოდის. შესაბამისად, ეს უკვე პრობლემაა.

საქართველოში 2014 წლამდე ამ კუთხით რეგულაცია არ იყო. 2014 წელს შემოვიდა რეგულაცია, სადაც უშუალოდ ბანკებს აღნიშნული კომპანიების ფლობა აეკრძალათ. შემდგომ მათ მოიფიქრეს და შექმნეს ჰოლდინგები.



ამჟამად საბანკო სექტორი ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა ჰოლდინგის ხელშია. ჰოლდინგში შემავალი კომპანიები ვერ ან არ კონტროლდება.

***– თქვენ ამბობთ, რომ სხვა ქვეყნებსაც დაუდგათ მსგავსი პრობლემები. როგორი გამოსავალი იპოვეს მათ?***

– პირველად ის პრობლემა, რომელიც ახლა ჩვენთანაა, აშშ-ში დაიწყო. დარწმუნებული ვარ, ამ ეტაპს ისეთივე წარმატებით გადავლახავთ, როგორც ეს აშშ-მ მოახერხა. იქ პრობლემა შემდეგნაირად გადაწყდა – სახელმწიფოს სურვილი იყო, პრობლემის დარეგულირება ეტაპობრივად მომხდარიყო. ჩვენ ყველაფრის შეცვლა ერთი ხელის მოსმით გვიყვარს, რაც ამ ყველაფერს მეორე უკიდურესობაში გადაიყვანს და ისედაც პრობლემურ სიტუაციას უფრო მეტ პრობლემას დაუმატებს.

პირველ ეტაპზე აშშ-მ მკაცრი რეგულაციით ბანკები დააჯარიმა, მეორე ეტაპზე კაპიტალის ბაზარი განავითარა, რითაც ამ შემთხვევაში ბიზნესს ახალი, ალტერნატიული ფულადი რესურსის მოზიდვის საშუალება შეუქმნა. მომხმარებელს მიეცა იმის საშუალება, რომ თავისი ფულადი რესურსები გაეზარდა და, დაგროვებასთან ერთად, სხვადასხვა ბაზარზე მატერიალური დოვლათი შეექმნა.

***– თქვენ აღნიშნეთ, რომ 2014 წელს გარკვეული რეგულაცია შემოვიდა, მაგრამ მისი გვერდის ავლა შეიძლება. ეს ფაქტი ცნობილია როგორც ეროვნული ბანკის, ასევე მთავრობისთვის. რატომ შემოვიდა ეს რეგულაცია ან რისთვის დატოვეს მასზე შემოვლითი გზა?***

– დღეს ეროვნულ ბანკს არ აქვს ბერკეტი აკონტროლოს, ბანკები რომელი ჰოლდინგის ნაწილია და ის ჰოლდინგი რომელ ბიზნესსა და აქტივებს ფლობს. ამ შემთხვევაში ეს უკვე მოკლებულია აზრს, რადგან ჩვენ 300-მილიონიანი ქვეყანა არ ვართ. აქ ყველამ იცის, რომელია მსხვილი ბანკი, ასევე ამ ჰოლდინგის შვილობილი კომპანიები.

***– რა სექტორია ის, რომლითაც ბანკი ინტერესდება?***

– ბანკები, ანუ ეს ჰოლდინგები იმ სექტორით ინტერესდებიან, რომლებიც საქართველოში ყველაზე მომგებიანია. ამის ნათელი მაგალითია სამედიცინო ბიზნესი, ენერგეტიკა, ასევე უძრავი ქონების ბიზნესი. ეს ის სექტორია, რომელიც ყველაზე მეტად მუშაობს.

***– რა შეიძლება გააკეთოს ბანკმა იმისთვის, რომ კონკურენციას ხელი შეუშალოს ან ამ სექტორის სერიოზული ნაწილი ხელში ჩაიგდოს?***

– მექანიზმი მარტივია: თქვენ ხართ ბანკი და ამ შემთხვევაში ისეთი ჰოლდინგური კომპანია გაქვთ, რომლის ერთ-ერთი შვილობილი კომპანიაა ბანკი. რომელიმე ცენტრალურ უბანში დიდი მშენებლობისთვის იაფი რესურსი გაქვთ. გარე პერიმეტრზე თუ სხვა იურიდიული პირი მშენებლობას დაიწყებს, მას, უბრალოდ, აღარ მისცემთ თქვენი შვილობილი კომპანიის მსგავსად იაფ რესურსს, ანუ შენ ამ რესურსს ჰოლდინგში შემავალ კომპანიას აძლევ.

***– გამოდის, რომ ქვეყანამ რეგულაციების მიმართულებით უნდა იაროს. ამ კუთხით რა შეზღუდვები არსებობს იმ სივრცის მხრიდან, რომელშიც ჩვენ გვსურს ყოფნა? ვგულისხმობ ევროკავშირს, რომლისკენაც მივისწრაფვით და ბევრი ხელშეკრულება გვავალდებულებს, იქ დაწესებულ სტანდარტებს მივუახლოვდეთ. ამ თვალსაზრისით რა სახის რეგულაციები გვხვდება?***

– გარკვეული სახის დაშვებები ყოველთვის არსებობს. ის, რომ სრულად მოვახდინოთ ამ ყველაფრის კონტროლი, გამორიცხულია. თუ სახელმწიფო დაინახავს, რომ ესა თუ ის კომპანია მონოპოლისტია, უნდა დაიწყოს ანტიმონოპოლიური საქმიანობა. რეგულაციებზე მთავარია ის, რომ აუცილებლად ანტიმონოპოლიური საქმიანობა უნდა იყოს გაძლიერებული.

***– თუკი ბანკს არაპროფილური აქტივების ფლობა აეკრძალება, ხომ არ მივიღებთ იმ მდგომარეობას, რომ ეს ბანკი არაპროფილურ სექტორებზე სესხებს საერთოდ აღარ გასცემს და იმაზე მძიმე ვითარება შეიქმნება, ვიდრე ეს დღესაა?***

– რისკი არის. სწორედ ამიტომ ეს ყველაფერი ეტაპობრივად უნდა მოხდეს და არა ერთ დღეში. მეორე ვარიანტიცაა, რომ ე.წ. გაბრაზებული ბანკი მივიღოთ. ის გაბრაზდა, რომ სხვადასხვა სექტორში საქმიანობა შეუწყვიტეს.

ბანკი როდესაც ფლობს თავის აქტივს, მან იცის, მის კომპანიაში რა ხდება, ხოლო თუ ბიზნესის კუთხით დააფინანსებს ისეთ კომპანიებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია არ აქვს, ეს გაზრდის დაფინანსების დროს, გააძვირებს რესურსებს, და შესაბამისად, აქაც პრობლემა დადგება.

ამიტომ ეს პროცესი ეტაპობრივი უნდა იყოს. ტრანზიტის პერიოდი იმდენად ხანგრძლივი უნდა იყოს, რომ უშუალოდ ბიზნესმა ეს ვერ იგრძნოს.

**კომერსანტ.გე**

# საწვავი კიდევ 10 თეთრით გაძვირდა

ზოგიერთ ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურზე საწვავი კიდევ გაძვირდა.

კერძოდ, „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურებზე ბოლო დღეების განმავლობაში საწვავის ფასმა 1 ლიტრზე 10 თეთრით მოიმატა.

„ეკო სუპერის“ მარკის ბენზინი 2.44 ლარი ღირს, მაშინ როცა თვის დასაწყისში 2.34 ლარი ღირდა; „ეკო პრემიუმის“ ღირებულებამ 2.19 ლარიდან 2.29-მდე მოიმატა; „ევრო რეგულარის“ საფასური 2.09 ლარია, მაშინ როცა რამდენიმე დღის წინ 1.99 ლარი ღირდა; „ეკო ევრო რეგულარის“ ფასი 2.09 ლარიდან 2.19 ლარამდე გაიზარდა.

რაც შეეხება დიზელს, „ეკო დიზელი“ 2.15 ლარიდან 2.25 ლარამდე, ხოლო „დიზელ ენერჯი“ 1.95-დან 2.05 ლარამდე გაძვირდა.

1 იანვრიდან თამბაქოს ნაწარმზე, ნავთობპროდუქტებსა და მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი გაიზარდა. ბენზინის შემთხვევაში აქციზის ღირებულება 1 ტონაზე 250 ლარიდან 500 ლარამდე გაიზარდა; დიზელზე – 150-დან 400 ლარამდე; გაზზე, 1000 კუბურ მეტრზე – 80-დან 200 ლარამდე.

რამდენიმე ბრენდირებულ სადგურზე საწვავის ფასმა 2017 წლის დასაწყისშიც მოიმატა. ჯამში კი 15 ოქტომბრის შემდეგ საწვავი 29-53 თეთრის ფარგლებში გაძვირდა.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი ამბობს, რომ ზოგიერთმა ოპერატორმა კომპანიამ ფასების კორექტირება იანვრის დასაწყისში ლარის გაცვლითი კურსიდან გამომდინარეც მოახდინა.

– ზოგადად, ბოლო პერიოდში საწვავზე ფასის მატება რამდენიმე ფაქტორს უკავშირდებოდა. ერთ-ერთი იყო საერთაშორისო ფასი, ასევე ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უკვე მიმდინარე წლიდან იწყებს საწვავის ფასზე მოქმედებას, აქციზის გადასახადის გაზრდაა, – აღნიშნა ვანო მთვრალაშვილმა.

მისი თქმით, რიგ კომპანიებს გარკვეული ნაშთები




ჰქონდათ.

– შესაბამისად, ახალი წლის დღეებში ამ ცვლილების საწვავის ფასზე ასახვა მყისიერად არ მოხდა, თუმცა მიმდინარე წლიდან სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა კომპანიებს აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით ფასების კორექტირება უწევთ, – განაცხადა მთვრალაშვილმა.



მომატებული აქციზის გადასახადის ტარიფის საცალო ქსელში ასახვა საშუალოდ 20-25 თეთრის ფარგლებში უნდა მოხდეს, ხოლო თუ რომელი ოპერატორი კომპანია როდის ან რა დოზით მოუმატებს ფასებს, უშუალოდ კომპანიების გადასაწყვეტია.

მთვრალაშვილს უჭირს იმის თქმა, კიდევ მოიმატებს თუ არა საწვავის ფასი.

– ვერ დაგიზუსტებთ, რომ აქციზის გადასახადიდან გამომდინარე ფასის მატება ამით მთავრდება. ვერ გეტყვით, როგორ იქნება, – დასძინა ვანო მთვრალაშვილმა.

**ბიპიენი**

# ქართული ჩურჩხელა ირანის რესტორნის მენიუშია

ორი კვირის წინ კომპანია „გრემის“ მიერ წარმოებული სხვადასხვა სახის 8.000-მდე ჩურჩხელა საცდელი პარტიით ირანში ექსპორტზე გავიდა.



ექსპორტისთვის მოტივაცია ფერეიდნელი მეწარმის მიერ ისპაჰანში გახსნილი პატარა რესტორანი „ჯორჯიან კაფე“ აღმოჩნდა. ჩურჩხელები ფერეიდნელმა მეწარმემ თავისი ახლადგახსნილი რესტორნისთვის შეიძინა და უკვე რესტორნის მენიუშიც შეიტანა. ირანელებმა მზარეულები საქართველოდან წაიყვანეს, რომლებიც იქაურ პერსონალს გადაამზადებენ.

როგორც კომპანიის დამფუძნებელი გიორგი მაჩაბელი „საქმიან დილასთან“ საუბრისას აღნიშნავს, ისინი ირანელ პარტნიორებს საქართველოში შეხვდნენ, რომლებმაც დიდი ინტერესი გამოხატეს „გრემის“ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე.

ამ ეტაპზე კომპანიის პროდუქტი ძირითადად მეზობელ ქვეყნებში – რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში გადის.

– ჯერჯერობით 8.000-მდე ჩურჩხელა სატესტო რეჟიმით გავიტანეთ, თუმცა შემდეგ ეტაპზე, რა თქმა უნდა, ექსპორტს გავაფართოებთ. ჩვენი ჩურჩხელა რესტორნის მენიუშია შეტანილი. ქართულ პროდუქტს მინუსიც აქვს და პლუსიც. მინუსი ის არის, რომ მსოფლიოში ნაკლებად იცნობენ და სწორი მარკეტინგული გათვლა და კარგი პიარი უნდა გაკეთდეს. პლუსი კი ის გახლავთ, რომ სიახლეა და ასეთი ახალი პროდუქტით სხვა ქვეყნების ბაზრები გადატვირთული არ არის, – აცხადებს კომპანიის დამფუძნებელი.

მისივე თქმით, ექსპორტზე ჩურჩხელასთან ერთად, კომპანიის ბრენდის რამდენიმე სახეობის თაფლი და სვანური მარილის გატანაც იგეგმება, თუმცა თაფლისა და მარილის შეტანაზე ირანში კანონები გამკაცრებულია და ქართულ პროდუქციას ბაზარზე მოსახვედრად გარკვეული პროცედურების გავლა მოუწევს.

# დავით ასლანიშვილი: „რატომაა ბანკებში მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტი ასე მაღალი?“



ეკონომიკის ექსპერტი დავით ასლანიშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე პოსტს აქვეყნებს, სადაც რეფინანსირების აუქციონზე ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების მოთხოვნის სრულად არდაკმაყოფილებას ეხება.

– ეს არის ინფორმაცია 20 იანვარს გამართული რეფინანსირების აუქციონის შესახებ. ინფორმაცია არ არის კონფიდენციალური და არ წარმოადგენს ექსკლუზივს არც ეროვნული ბანკისთვის და არც კომერციული ბანკებისთვის. მსოფლიოს მასშტაბით ნებისმიერი ცენტრალური ბანკის ინფორმაციებზე წვდომის საჯარო უფლება აქვს ბლუმბერგის ტერმინალის ნებისმიერ მომხმარებელს, მათ შორის უნივერსიტეტშიც და ჩემს საინვესტიციო ჯგუფშიც, – წერს დავით ასლანიშვილი.

აღნიშნული სურათიდან ირკვევა, რომ 20 იანვარს კომერციული ბანკების მოთხოვნამ რეფინანსირების აუქციონზე შეადგინა 2 მლრდ ლარზე მეტი (1.393 მლრდ – ერთკვირიანზე, 647 მლნ – ერთთვიანზე), თუმცა ეროვნულმა ბანკმა სრულად არ დაუკმაყოფილა მოთხოვნა და გასცა მხოლოდ 1.65 მლრდ მოცულობის სესხი.

– ალბათ, მეტის გაცემა ეროვნულმა ბანკმა უკვე კრიტიკულად შეაფასა და არც არავის შეაქვს ეჭვი იმაში, რომ პასუხისმგებელი პირები ამ კრიტიკულ ზღვარს სწორად გამოთვლიდნენ, – აღნიშნავს ექსპერტი.

მას ასეთი კითხვა აქვს:

– რატომ არის კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტი ასე მაღალი – ე.ი. 2 მლრდ ლარზე მეტი?

პასუხი დღემდე არ ჩანს და დავით ასლანიშვილს სხვა კითხვებიც უჩნდება:

– რაში სჭირდებათ 2 მლრდ მოცულობის ოვერდრაფტ-სესხი კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკისგან? რატომ არ დააკმაყოფილა ეროვნულმა ბანკმა სრულად მოთხოვნა, თუ მართლაც კარგი ცხოვრებით უჩნდებათ მასზე მოთხოვნა კომერციულ ბანკებს და თან ზედ პროცენტს იხდიან? გაცემული 1.65 მლრდ რა რესურსით გაიცა, როდესაც კომერციულ ბანკებს სადეპოზიტო სერტიფიკატების ფორმით ეროვნულ ბანკში 300 მლნ-ზე მეტი არ აქვთ განთავსებული?

ექსპერტს უკვირს, ბანკების ასოციაცია რატომ დუმს.

– თუ საერთოდ წარმოდგენა არ გაქვთ, თქვენი ბანკები რას საქმიანობენ? რატომ არ ინტერესდებით, კონკრეტულად რომელი კომერციული ბანკებისგან იყო ზომაზე მეტად ჭარბი მოთხოვნა რეფინანსირების სესხებზე და რაში დასჭირდათ? – კითხულობს ასლანიშვილი.

ის ხაზს უსვამს, რომ ამ სურათზე არსებულ სრულ ინფორმაციას ეროვნული ბანკი გიორგი ქადაგიძის დროს ყოველკვირეულად აქვეყნებდა ტექსტობრივად საიტზე, დღეს კი ექსელის ფაილებში და თან არასრულად უნდა ეძებოს საიტის ვიზიტორმა.

– მცირე ზომით რეფინანსირების სესხი მისაღებია, მაგრამ დიდი ზომით არის ცუდი, – წერს დავით ასლანიშვილი.

**ბიპიენი**

# „ვანო მერაბიშვილის საქმეს სტრასბურში ადეიშვილის მოადგილე განიხილავს“

## ევა გოცირიძე მის ჩავარდნას მერაბიშვილის საქმეს უკავშირებს

ევა გოცირიძე სტრასბურის სასამართლოში წარსადგენი ქართველი მოსამართლეების კანდიდატურების ჩავარდნის ერთ-ერთ მიზეზად ვანო მერაბიშვილის საქმეს ასახელებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვრცელ წერილში აღნიშნავს, რომ გარკვეული ძალები ხელს შეუშლიან აღნიშნულ პროცესს, ვიდრე, გოცირიძის თქმით, მათთვის სასურველი კანდიდატი არ იქნება წარდგენილი.

ის წინა არჩევნებს იხსენებს და ამბობს, რომ მაშინდელი სია ყოველგვარი პროცედურების გავლის გარეშე დამტკიცდა.

ევა გოცირიძე სახალხო დამცველს და არასამთავრობოებს აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ნანუაშვილი წინა არჩევნების დეტალებით არასოდეს დაინტერესებულა.

– გარკვეულმა ძალებმა, სამწუხაროდ, კანდიდატთა შერჩევის პროცესი პოლიტიკური ბრძოლის არენად გადააქციეს. მეჩვენება, რომ რაგინდ რა საუკეთესო პროცედურები შემოვიღოთ კანდიდატების შერჩევისას, და ვინც არ უნდა შეირჩეს, გარკვეულ ძალთა ეს თავგანწირული მობილიზაცია კონკურსის ეტაპზეც, საქართველოში თუ შემდგომ, სტრასბურშიც, მაინც გაგრძელდება. და გაგრძელდება მანამ, სანამ სიაში ამ ძალებისთვის მისაღები კანდიდატი არ მოხვდება და სანამ გარკვეული საქმეების განხილვა არ დასრულდება ევროპის სასამართლოში, – წერს ევა გოცირიძე.

ის ამბობს, რომ ეს შეიძლება მართლაც უკავშირდებოდეს მერაბიშვილის საქმის განხილვას სტრასბურში, რომელიც მარტში აა ჩანიშნული და სხვა მომავალ საქმეებს.

– თორემ, განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ სტრასბურის მოსამართლის შერჩევა პირველად მოხდა კონკურსის გზით, სამოქალაქო სექტორის ფართო ჩართულობით, ქულობრივი შეფასების საფუძველზე, მაშინ როდესაც წინა არჩევნებზე მოსამართლეობის კანდიდატთა სია ყოველგვარი პროცედურების გაუვლელად მაშინდელი პრეზიდენტის ნება-სურვილის მიხედვით შეარჩიეს და არც სტრასბურს მიუჩნევია ინტერესთა კონფლიქტად ასეთ პირობებში გენერალური პროკურორის (ზ. ადეიშვილის) მოადგილის კანდიდატურის წამოყენება, – აღნიშნავს გოცირიძე.

მისი თქმით, მაშინ არც უფლებადამცველ უჩა ნანუაშვილს გაუპროტესტებია და არც – არასამთავრობო სექტორს.

– ახლა მათ უკვე შესარჩევ კომისიაში ფართო ჩართულობაც აღარ აკმაყოფილებთ და კომისიაში უმრავლესობით წარმომადგენლობას მოითხოვენ. და ეს კარგის მაჩვენებელია, კერძოდ, დემოკრატიის განვითარებისა, რადგან ასეთი მოთხოვნების დაყენება მხოლოდ ფართო დემოკრატიის პირობებშია შესაძლებელი.

ასეა თუ ისე, შედეგად მივიღეთ ის, რომ სიის ჩავარდნის გამო ამჟამინდელ მოსამართლეს გაუხანგრძლივდა ვადა და მერაბიშვილის საქმეს სტრასბურში ადეიშვილის მოადგილე განიხილავს. მოკლედ, მიზანი უკვე მიღწეულია, მიზანი, რომელიც ყოველგვარ საშუალებას ამართლებს. ასე რომ, ამ პროცედურებში ყოველთვის იყო და დღესაც არის პოლიტიკური შემადგენელი საკმაო დოზით, – აცხადებს გოცირიძე.

* * *

საპარლამენტო ოპოზიცია ევა გოცირიძის განმარტებებს სამარცხვინოსა და არასერიოზულს უწოდებს.



„ევროპული საქართველოს“ წევრმა სერგო რატიანმა განაცხადა, რომ ევროსაბჭოს მიერ მოსამართლეობის კანდიდატთა სიის განხილვის პროცესში ოპოზიცია მონაწილეობას არ იღებდა. კომიტეტში, რომელმაც სია უარყო, წარმომადგენელი მხოლოდ უმრავლესობას ჰყავს ეკა ბესელიას სახით.

რატიანი მიიჩნევს, რომ სია იმდენად უსამართლოდ იყო ფორმირებული, რომ მას კომიტეტში ბესელიას ყოფნამაც ვერ უშველა.

ანალოგიურ განცხადებას აკეთებენ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაშიც.

– ევროსაბჭოში დამოუკიდებლად იღებენ ამ გადაწყვეტილებას და ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილება მიიღეს არა ვიღაცის გავლენის ქვეშ და ვიღაცის ზეწოლით, არამედ მიიღეს საკუთარი მრწამსის შესაბამისად, როდესაც ნახეს, რომ ეს კანდიდატურები არ შეესაბამება და არ არის ადეკვატური იმ ორგანიზაციისა, რომელშიც ისინი სახელმწიფოს უნდა წარმოადგენდნენ, – განაცხადა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს წევრმა ნინო კალანდაძე.

* * *

ევა გოცირიძის განცხადებას სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილიც გამოეხმაურა.

მისი თქმით, სახალხო დამცველის აპარატმა ევროსაბჭოს ყველა შეკითხვას ობიექტურად უპასუხა, რომელიც სტრასბურის მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესში არსებულ ხარვეზებს ეხებოდა.

– ჩვენ ვსაუბრობდით იმ ხარვეზებზე ამ პროცესში, რომელიც თავიდანვე იყო. რაც შეეხებოდა პროცედურულ საკითხებს, თუნდაც იმას, თუ რატომ მოხდა ყველაზე უფრო მაღალქულიანი კანდიდატის დაბალქულიანით ჩანაცვლება. სახალხო დამცველს ყოველთვის აქვს კომუნიკაცია არაერთ ორგანიზაციასთან, მათ შორის ევროსაბჭოსთან და თუკი მათი მხრიდან დასმულ კითხვებზე ჩვენ გავეცით პასუხი, მე ვფიქრობ, ალბათ ჩვენი არგუმენტები გაცილებით უფრო დამაჯერებელი იყო მათთვის.

მე ვფიქრობ, სხვისკენ თითის გაშვერას, ალბათ, სჯობს, გადახედონ იმ პროცედურებს და ხარვეზებს, რომლებიც იყო და არსებობს და იქნებ შემდგომში მაინც ავიცილოთ ის პრობლემები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, სამწუხაროდ, ამ პროცესის დროს, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

# ქეთევან ციხელაშვილი: „გიორგი ლუკავას გათავისუფლებაზე აქტიურად ვმუშაობთ“

– გიორგი ლუკავას გათავისუფლების საკითხზე ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ პარტნიორებთან ერთად.

ამის შესახებ ჟურნალისტებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გიორგი ლუკავას გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგშია და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

– სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გააკეთა მკაფიო განცხადება. გიორგი ლუკავას გათავისუფლების საკითხი ჩვენს დღის წესრიგშია. ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში საკითხი აქტიურად განიხილება და ჩვენს პარტნიორებთან ერთად აქტიურად ვმუშაობთ ლუკავას გათავისუფლებაზე, – განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება გიორგი ლუკავას ციხიდან გაყვანის ფაქტს არ ადასტურებს.

– გიორგი ლუკავას მეუღლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მივაწოდეთ ევროკავშირის მონიტორინგის მისიას. მათი მეშვეობით გააქტიურდა ცხელი ხაზი. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება არ ადასტურებს ლუკავას ციხიდან გაყვანის ფაქტს. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ლუკავას საქმეზე მუშაობა გრძელდება, – აცხადებენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

დრანდის ციხეში მყოფი პატიმრის გიორგი ლუკავას ოჯახის წევრები კი ამბობენ, რომ პატიმარი დაიკარგა და მისი ადგილსამყოფელის დადგენას ითხოვენ.

როგორც გიორგი ლუკავას მეუღლე ლალი ლუკავამ განაცხადა, დაკავებული მათ ტელეფონით დაუკავშირდა და ინფორმაცია მიაწოდა, რომ ციხიდან მის გადაყვანას აპირებდნენ. ლალი ლუკავას განცხადებით, ამის შემდეგ მასთან კონტაქტი არ ყოფილა.

ლალი ლუკავას ინფორმაციით, მისი მეუღლე დაპატიმრებულია მეომრის სტატუსით და მას უვადო პატიმრობა აქვს შეფარდებული.

# გიზო ღლონტი: „ეს იყო უთანასწორო ბრძოლა ჩვენ წინააღმდეგ“



– ეს იყო სრულიად უთანასწორო ბრძოლა ჩვენ წინააღმდეგ. ჩვენ ვიყავით არათანაბარ პირობებში, გამოძიება მთელი 2 წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

ამის შესახებ რუსთავი 2-ის ეთერში კაბელების საქმეზე ბრალდებულმა გიზო ღლონტმა განაცხადა.

მისივე თქმით, მათი მთავარი მიზანი სიმართლის მიღწევაა. გიზო ღლონტის განცხადებით, კაბელების საქმეზე პრეზიდენტის შეწყალების მიუხედავად, სამართლებრივ ბრძოლას გააგრძელებენ.

– 2 წლის და 4 თვის განმავლობაში ჩვენი მთავარი მიზანი არის სიმართლის მიღწევა. ჩვენ გვინდა, უზენაეს სასამართლოში მივაღწიოთ სიმართლეს, – განაცხადა გიზო ღლონტმა.

კაბელების საქმეზე ბრალდებულები პრეზიდენტმა 27 იანვარს შეიწყალა.

თავდაცვის სამინისტროს 5 ყოფილ მაღალჩინოსანს პროკურატურა 4 მილიონ ლარზე მეტი საბიუჯეტო თანხის გაფლანგვას ედავებოდა.

ბრალდებულებს 2016 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ შეცვალა,

გიორგი ლობჟანიძეს, არჩილ ალავიძეს, დავით წიფურიას, გიზო ღლონტსა და ნუგზარ კაიშაურს ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში გადაუკვალიფიცირა და ამის საფუძველზე სასჯელის ვადა შეუმცირა.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ბრალდებულებს პენიტენციარული დაწესებულება დაახლოებით 2 თვეში უნდა დაეტოვებინათ.

# შსს-მ თურქეთისა და საქართველოს მოქალაქეები დააკავა

## გამოძალვის, ძარცვისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თურქეთის რესპუბლიკის სამი მოქალაქე – 1993 წელს დაბადებული ე.ბ., 1988 წელს დაბადებული ს.ბ., 1977 წელს დაბადებული ფ.ე. და საქართველოს მოქალაქე, 1983 წელს დაბადებული მ.მ. ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი გამოძალვის, ძარცვის და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით, ბათუმში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ბათუმის ერთ-ერთ კლუბში მყოფი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისგან, გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, შეუსაბამოდ დიდი თანხა მოითხოვეს. უარის მიღების შემდეგ კი მათ თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, 2.600 ლირა, 3.040 ლირა, 7.172 ლარი და 1.489 დოლარი გამოსძალეს.

გამოძიება დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი გამოძალვის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობით ან ძალადობის მუქარით ჩადენილი ძარცვის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს.

ინტერპრესნიუსი

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79.**
**ქ. ზესტაფონი, რუსთაველის 158. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

# ტრამპმა პუტინს დაურეკა





შედგა პუტინისა და ტრამპის სატელეფონო საუბარი.

საუბარმა 45 წუთს გასტანა. მას ესწრებოდნენ ვიცეპრეზიდენტი მაიკლ პენსი, ტრამპის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში ფლინი, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი სტრატეგიულ საკითხებში ბენონი, თეთრი სახლის აპარატის უფროსი გრიბუსი.

რუსული მხრიდან საუბარს მხოლოდ ვლადიმერ პუტინი წარმართავდა.

აღსანიშნავია, რომ მანამდე ტრამპმა ჯერ იაპონიის პრემიერ აბეს, შემდეგ კი გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს დაურეკა.

აბეს ტრამპმა განუცხადა, რომ აშშ სამოკავშირეო ვალის ერთგული რჩება.

მერკელთან საუბარმა 40 წუთს გასტანა.

ამის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტი თავის რუს კოლეგას დაუკავშირდა.

– საუბარმა მშვიდ, საქმიან გარემოში ჩაიარა, – იტყობინება კრემლის პრესსამსახური.

ტრამპი თავის რუს კოლეგას გულთბილად მიესალმა და განუცხადა, თქვენცა და რუს ხალხსაც მშვიდობას, ბედნიერებას გისურვებთო. პუტინმა უპასუხა: „გმადლობთ, ამერიკელ ხალხსაც იმავეს ვუსურვებ!“

ამის შემდეგ საქმიანი საუბარი დაიწყო. მხარეებმა განიხილეს როგორც სირიაში, ასევე უკრაინაში შექმნილი ვითარება.

პუტინმა საუბარი სანქციების შესაძლო გაუქმებაზე ჩამოაგდო. მან განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუკი რუსეთ-აშშ-ის სრულფასოვანი სავაჭრო ურთიერთობები აღდგება.

ტრამპის პასუხი თავშეკავებული იყო. მან თქვა, რომ ეს მართლაც კარგი იქნებოდა, თუმცა სანქციების შესაძლო გაუქმებაზე არაფერი უთქვამს.

ტრამპის წინადადებაზე, რომ აუცილებელია ტერორიზმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით მოქმედება, პუტინმა მიუგო:

– ჩვენ აშშ-სთან სრულფასოვანი, თანასწორი თანამშრომლობის მომხრენი ვართ.

რუსეთ-აშშ-ის პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ დროა, მათი შეხვედრის მომზადება დაიწყოს.

* * *

ამერიკელი ექსპერტი კლარკი მიიჩნევს, რომ ტრამპ-პუტინის სატელეფონო საუბარმა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში გარღვევისთვის წინაპირობები არ შექმნა. ისეთი მტკივნეული თემა, როგორიცაა სანქციები, საერთოდ განხილვის მიღმა დარჩა.

– პუტინ-ტრამპს შორის თამაში დაიწყო, – აცხადებს კლარკი.

ექსპერტის აზრით, პუტინი შეეცდება, ტრამპს უსიამოვნო სიურპრიზები მოუწყოს. ეს თანაბრად შეეხება როგორც სირიას, ასევე უკრაინას, დასავლეთ ევროპასა და თავად აშშ-საც კი.

კლარკმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ გამოჩნდნენ ძალები, რომლებმაც კალიფორნიის დამოუკიდებლობა მოითხოვეს და ამ მიზნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. ექსპერტის აზრით, ამ წამოწყების უკან რუსები დგანან.

– პუტინი თავისას გააგრძელებს, ანუ შეეცდება, ყველგან არეულობა გამოიწვიოს. ობამა ამას ეგუებოდა. შეეგუება თუ არა ამას ტრამპი, მალე გამოჩნდება, – ამბობს კლარკი.

## ტრამპი: „რუსეთის სანქციების გაუქმებაზე საუბარი ადრეა“

გასული კვირის ბოლოს ბრიტანეთის პრემიერი ტერეზა მეი დონალდ ტრამპს შეხვდა.

ბრიტანეთის პრემიერი პირველი უცხოელი ლიდერია, რომელსაც ტრამპი პრეზიდენტის რანგში შეხვდა. მეიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი და აშშ-ის პრეზიდენტის საუბარი ნაყოფიერი იყო.

– ჩვენ განვიხილეთ ურთიერთობები რუსეთთან, აგრეთვე ნატოსთან დაკავშირებული საკითხები და ტერორიზმთან ბრძოლა. თითქმის ყველგან სრულ ურთიერთგაგებას მივაღწიეთ, – თქვა მეიმ.

დონალდ ტრამპმა ტერეზა მეის განუცხადა, რომ სანქციების გაუქმება არ მოხდება.

– ამ ეტაპზე სანქციების გაუქმებაზე ლაპარაკი ნაადრევია! – თქვა ტრამპმა.

ამავე დროს, აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებისკენ მიისწრაფვის, თუმცა ეს მხოლოდ მის სურვილზე არ არის დამოკიდებული.

– ახლა ბურთი რუსების მოედანზეა. მათ უნდა გარკვევით მითხრან, სურთ ამერიკასთან მეგობრობა თუ არა, – თქვა ტრამპმა.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, ნატოს მიმართ თქვენი პოზიცია როგორიაო, მიუგო:

– ნატოს ასი პროცენტით მხარს ვუჭერ! ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ეს ბლოკი გაძლიერდეს!

# აშშ დევნილების მიღებას 120 დღით აჩერებს

## სირიელი დევნილების მიღებას კი განუსაზღვრელი ვადით კრძალავს



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც აშშ-ში დევნილების მიღებას 120 დღით აჩერებს, სირიელი დევნილების მიღებას კი განუსაზღვრელი ვადით კრძალავს.

– ეს ქვეყნის დაცვაა უცხოელი ტერორისტების ჩამოსვლისგან, – განაცხადა დონალდ ტრამპმა განკარგულების ხელმოწერის შემდეგ.

გარდა ამისა, დევნილების მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა მიღება ტრამპმა დაუშვა მიმდინარე ფინანსურ წელს (რომელიც 30 სექტემბერს სრულდება), 50.000 დევნილს შეადგენს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2016 წლის ოქტომბრიდან, როდესაც ფინანსური წელი დაიწყო, აშშ-მ უკვე მიიღო 30.000 დევნილი. შესაბამისად, დარჩენილ პერიოდში აშშ 20.000 დევნილს მიიღებს.

გარდა ამისა, ტრამპმა განუსაზღვრელი ვადით აკრძალა აშშ-ში სირიელი დევნილების მიღება.

– ვაცხადებ, რომ სირიის მოქალაქეების, როგორც დევნილების შემოსვლა აშშ-ში, ეწინააღმდეგება ჩვენს ინტერესებს და ნებისმიერი ასეთი შემოსვლა გაჩერდება მანამ, ვიდრე არ გადავწყვეტ, რომ არსებითი ცვლილებები მოხდა, რაც სირიელი დევნილების მიღების საშუალებას იძლევა ეროვნული ინტერესების შესაბამისად, – ნათქვამია ტრამპის განკარგულებაში.

ტრამპმა ასევე განკარგულება გასცა, შემოღებულ იქნეს აუცილებელი გასაუბრება არაიმიგრაციული ვიზების მისაღებად და დაჩქარდეს აშშ-ში შემოსულების კონტროლის ბიომეტრიული სისტემა.

# რუსეთის სპეცსამსახურებში ამერიკელი ჯაშუშები აღმოაჩინეს




რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა (ფსბ) ამავე სამსახურის რამდენიმე მაღალჩინოსანი დააპატიმრა.

ერთ-ერთი მათგანია მიხაილოვი, რომელიც რუსეთის უშიშროებაში საინფორმაციო უსაფრთხოების სამსახურს განაგებდა. დაკავებულია აგრეთვე შსს-ს ოფიცერი სტოიანოვი, მეთვალყურეობის ქვეშაა აყვანილი მიხაილოვის ახლო მეგობარი დოკუჩაევი, თუმცა ჯერჯერობით მისი დაპატიმრებისგან თავს იკავებენ.

დაკავებულებს ბრალად ედებათ ამერიკის დაზვერვასთან კავშირი.

ფსბ-მ დაადგინა, რომ ინფორმაცია რუსული კიბერშეტევების შესახებ ამერიკელებს ფსბ-ს მაღალჩინოსნებმა მიაწოდეს.

მიმდინარეობს გამოძიება.

# ბერლუსკონი კვლავ სასამართლოს წინაშე წარდგება



იტალიის ექსპრემიერი სილვიო ბერლუსკონი კვლავ სასამართლოს წინაშე წარდგება.

ამჯერად მას რუბის საქმეში მოწმის მოსყიდვაში ადანაშაულებენ.

რუბი მაროკოელი მოცეკვავის ფსევდონიმია, რომელთანაც სენიორ სილვიოს ინტიმური კავშირი ჰქონდა. როცა მოცეკვავე ქურდობის გამო პოლიციამ დააპატიმრა, ბერლუსკონი შეეცადა, სამსახურებრივი მდგომარეობა გამოეყენებინა და ის პატიმრობიდან დაეხსნა.

მაშინ ბერლუსკონიმ თავის დაძვრენა შეძლო. ახლა იტალიის პროკურატურა ამტკიცებს, რომ მოწმე, რომელმაც მის სასარგებლოდ ჩვენება მისცა, მოსყიდული იყო.

# 40-მა თურქმა სამხედრომ გერმანიას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა



დაახლოებით 40-მა თურქმა სამხედრო მოსამსახურემ, რომლებიც გერმანიის ტერიტორიაზე ნატოს ბაზებზე მსახურობენ, განაცხადი შეიტანეს გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფრის მიღების თაობაზე.

საუბარია მაღალი რანგის ოფიცრებზე. გერმანიის მიგრაციისა და დევნილების ფედერალურ უწყებაში და გერმანიის შსს-ში აღნიშნეს, რომ მათ განაცხადებს ჩვეულებრივი წესის მიხედვით განიხილავენ.

– უეჭველია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია, ეს სამხედროები უკან, თურქეთში დავაბრუნოთ. მათ იქ ციხეში ჩასვამენ, – განაცხადა ბუნდესტაგში მმართველი კოალიციის ფრაქციის ექსპერტმა შიდა პოლიტიკის საკითხებში შტეფან მაიერმა.

2 თებერვალს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ოფიციალური ვიზიტით თურქეთში გაემგზავრება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

☎ 599-73-48-21.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ფუტსალისტთა ნაკრებმა პირველი შესარჩევი ეტაპი წარმატებით დაძლია

**შვეიცარია-საქართველო 3:6**

**თბილისი. ოლიმპიური სასახლე**

0:1 თოდუა, 0:2, 0:3 სებისკვერაძე, 1:3 სანტონა, 2:3 ფაკინეტი, 2:4 ჭანუყვაძე, 2:5 თოფურია, 3:5 ფაკინეტი, 3:6 კუპატაძე



საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები ევრო 2018-ის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გადამწყვეტ შეხვედრაში შვეიცარიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა და მეტოქე ანგარიშით 6:3 დაამარცხა.

ჩვენმა გუნდმა უპირატესობის მოპოვება მატჩის საწყის წუთებშივე მოახერხა. მე-2 წუთზე ანგარიში ირაკლი თოდუამ გახსნა, მე-8 და მე-9 წუთებზე კი, არჩილ სებისკვერაძემ დუბლი გაიფორმა და პირველი ნახევრის ანგარიში დააფიქსირა, 3:0 საქართველოს სასარგებლოდ.

შვეიცარიელებმა მეორე ტაიმი ძალიან აქტიურად დაიწყეს და პირველივე წუთზე მოახერხეს სხვაობის მინიმუმამდე შემცირება. ზვიად კუპატაძის კარი ჯერ სანტონამ, შემდეგ კი ფაკინეტიმ აიღო.

თუმცა საქართველოს ნაკრებმა მობილიზება შეძლო და უპირატესობაც დაიბრუნა.

28-ე წუთზე მეტოქეს შოთა ჭანუყვაძემ გაუტანა, 29-ზე კი – შოთა თოფურიამ. შვეიცარიის ნაკრებმა კიდევ ერთხელ გატანა 33-ე წუთზე შეძლო, გოლით კვლავ ფაკინეტი გამოირჩა. საბოლოო ანგარიში კი 36-ე წუთზე დაფიქსირდა – ჩვენი გუნდის მეკარემ ზვიად კუპატაძემ კვლავ საკუთარი საჯარიმოდან მოახერხა მეტოქის კარის აღება და საკვალიფიკაციო ეტაპზე მეორე გოლი გაიტანა.

ფუტსალის ევრო 2018-ის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ა ჯგუფში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სამივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, 9 ქულა დააგროვა და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

საკვალიფიკაციო ეტაპის ძირითადი რაუნდის მატჩები 3-12 აპრილს გაიმართება, ჩვენს ჯგუფს მინსკი უმასპინძლებს, მეტოქეები კი ბელარუსის, იტალიისა და ჰოლანდიის ნაკრებები იქნებიან.

აღნიშნული რაუნდიდან ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლებას 7 პირველადგილოსანი პირდაპირ მოიპოვებს, 7 მეორეადგილოსანი და 1 საუკეთესო მესამეადგილოსანი კი პლეი-ოფში ჩაერთვებიან და ამ გზით გაარკვევენ უძლიერესის ვინაობას.

პლეი-ოფის მატჩები 2017 წლის სექტემბერში გაიმართება.

შვეიცარიელებთან საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კუპატაძე, ჭანუყვაძე, თოდუა, რონინიო, სებისკვერაძე; ჯამბურია, ლუკავა, ნიშნიანიძე, თოფურია, კობაიძე, მაისაია, ბობოხიძე კურტანიძე, ტიკურიშვილი

მესამე სათამაშო დღის პირველ შეხვედრაში ერთმანეთს შოტლანდიისა და ისრაელის ეროვნული ნაკრებები დაუპირისპირდნენ. მატჩი ისრაელის გამარჯვებით 6:2 დასრულდა. საბოლოოდ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის „ა" ჯგუფში ისრაელმა 3 ქულით მესამე ადგილი დაიკავა, შოტლანდია კი ნული ქულით ბოლო, მეოთხე ადგილზე გავიდა.

# ქართული ოლ სტარი ფრედ დასრულდა

სუპერლიგის 2017 წლის „ყველა ვარსკვლავის" მატჩი-აქცია საინტერესო და სანახაობრივი გამოდგა, რომელიც ფრედ – 128:128 დასრულდა. კალათბურთის წესების თანახმად, მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი 5-წუთეული, მაგრამ ოლ სტარის მიზანი ხომ არა გამარჯვებულის გამოვლენა, არამედ მოხდენილი თამაში და შოუა, რაც მაყურებელმა ძირითად 40 წუთში საკმაო დონით იხილა და, ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ოვერტაიმი აღარ დაინიშნა.

ქართული ოლ სტარისთვის მონაწილეები სუპერლიგის ვებგვერდზე მიმდინარე გამოკითხვის შედეგად შეირჩა, სათადარიგოები კი მწვრთნელებმა შეარჩიეს. რეგიონის გუნდს კოტე ტულუში და რამაზ გოგობერიშვილი უძღვებოდნენ, ხოლო თბილისს – ირაკლი ხოშტარია და არჩილ ჟღენტი.

ობიექტური მიზეზის გამო ხოშტარია თამაშზე ვერ მოვიდა და დედაქალაქის გუნდს კაკტუსის მთავარი მწვრთნელი არჩილ ჟღენტი გაუძღვა.

მატჩის ბომბარდირი გახდა და საბოლოოდ უძვირფასესი მოთამაშის პრიზი დაიმსახურა დინამოს წევრმა მიხეილ ბერიშვილმა. მას არასრულ 29 წუთში 30 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი და 4 ჩაჭრა დაუგროვდა. 23 ქულა და 10 პასი მიითვალა დინამოელმა დეონტა ვონმა. რეგიონში 25 ქულით დუეინ ლათანი გამოირჩა. 19 ქულა დააგროვა გიორგი ბარბაქაძემ. ეფექტური პასებით გამოირჩა გიორგი ცინცაძე, რომელმაც მთლიანობაში კი 11 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

ოლ სტარის მვპ დინამოელი მიხეილ ბერიშვილი ვეტერანმა კალათბურთელმა ნოდარ ქორქიამ დააჯილდოვა. ბერიშვილს ერგო ეროვნული ნაკრებისა და სუპერლიგის გენერალური პარტნიორის, აზარტული თამაშების კომპანია „ევროპა ბეთის" 500-ლარიანი ვაუჩერი, რომელიც გამარჯვებულს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა ვლადიმერ ბოისამ გადასცა. ბერიშვილმა ასევე მიიღო სნეპ ფიტნეს ჯორჯიას ერთთვიანი სასაჩუქრე ვაუჩერი.



## შედეგები

### 28 იანვარი

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

ბურკინა ფასო-ტუნისი .................. 2:0
სენეგალი-კამერუნი .............. 0:0(4:5პ)

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ქპრ-ბარტონი .................................. 1:2

**ესპანეთი. პირველი დივიზიონი**

ვილიარეალი-გრანადა .................. 2:0
ალავესი-ატლეტიკო ...................... 0:0
ეიბარი-დეპორტივო ...................... 3:1
ლეგანესი-სელტა ........................... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 18 | 13 | 4 | 1 | 48-17 | 43 |
| 2.სევილია | 19 | 13 | 3 | 3 | 42-25 | 42 |
| 3.ბარსელონა | 19 | 12 | 5 | 2 | 51-17 | 41 |
| 4.ატლეტიკო | 20 | 10 | 6 | 4 | 34-16 | 36 |
| 5.სოსიედადი | 19 | 11 | 2 | 6 | 31-25 | 35 |
| 6.ვილიარეალი | 20 | 9 | 7 | 4 | 28-14 | 34 |
| 7.სელტა | 20 | 9 | 3 | 8 | 31-33 | 30 |
| 8.ბილბაო | 19 | 8 | 5 | 6 | 24-21 | 29 |
| 9.ეიბარი | 20 | 8 | 5 | 7 | 28-29 | 29 |
| 10.ესპანიოლი | 19 | 6 | 8 | 5 | 25-26 | 26 |
| 11.ლას პალმასი | 19 | 6 | 7 | 6 | 28-30 | 25 |
| 12.ალავესი | 20 | 5 | 9 | 6 | 17-20 | 24 |
| 13.მალაგა | 20 | 5 | 7 | 8 | 28-34 | 22 |
| 14.ბეტისი | 19 | 6 | 4 | 9 | 20-30 | 22 |
| 15.ვალენსია | 18 | 5 | 4 | 9 | 28-33 | 19 |
| 16.დეპორტივო | 20 | 4 | 7 | 9 | 25-32 | 19 |
| 17.ლეგანესი | 20 | 4 | 6 | 10 | 15-33 | 18 |
| 18.ხიხონი | 19 | 3 | 4 | 12 | 19-37 | 13 |
| 19.ოსასუნა | 20 | 1 | 7 | 12 | 21-43 | 10 |
| 20.გრანადა | 20 | 1 | 7 | 12 | 16-44 | 10 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სევილია ბ-ტენერიფე ...................... 0:0
ხიმნასტიკი-უესკა ........................... 0:0
მირანდესი-რეუსი ........................... 1:1
ალკორკონი-ლევანტე ..................... 2:0
ვალიადოლიდი-რაიო ..................... 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-აუგსბურგი ............. 1:2
ინგოლშტადტი-ჰამბურგი ............. 3:1
ვერდერი-ბაიერნი ........................... 1:2
დარმშტადტი-კიოლნი ................... 1:6
ლაიპციგი-ჰოფენჰაიმი .................. 2;1
ლევერკუზენი-გლადბახი ............... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 18 | 14 | 3 | 1 | 42-11 | 45 |
| 2.ლაიპციგი | 18 | 13 | 3 | 2 | 36-16 | 42 |
| 3.აინტრახტი | 18 | 9 | 5 | 4 | 23-15 | 32 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 18 | 7 | 10 | 1 | 31-19 | 31 |
| 5.დორტმუნდი | 17 | 8 | 6 | 3 | 37-20 | 30 |
| 6.ჰერტა | 17 | 9 | 3 | 5 | 25-19 | 30 |
| 7.კიოლნი | 18 | 7 | 8 | 3 | 27-16 | 29 |
| 8.ლევერკუზენი | 18 | 7 | 3 | 8 | 28-28 | 24 |
| 9.ფრაიბურგი | 17 | 7 | 2 | 8 | 22-29 | 23 |
| 10.შალკე | 18 | 6 | 3 | 9 | 21-20 | 21 |
| 11.მაინცი | 17 | 6 | 3 | 8 | 26-30 | 21 |
| 12.აუგსბურგი | 18 | 5 | 6 | 7 | 15-20 | 21 |
| 13.გლადბახი | 18 | 5 | 5 | 8 | 18-27 | 20 |
| 14.ვოლფსბურგი | 18 | 5 | 4 | 9 | 17-26 | 19 |
| 15.ვერდერი | 18 | 4 | 4 | 10 | 22-38 | 16 |
| 16.ინგოლშტადტი | 18 | 4 | 3 | 11 | 17-29 | 15 |
| 17.ჰამბურგი | 18 | 3 | 4 | 11 | 15-35 | 13 |
| 18.დარმშტადტი | 18 | 2 | 3 | 13 | 12-36 | 9 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

აუე-ჰაიდენჰაიმი ............................ 2:1
ვურცბურგერი-ბრაუნშვაიგი ........ 1:1

**იტალია. სერია ა**

ლაციო-კიევო ................................. 0:1
ინტერი-პესკარა ............................. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 20 | 16 | 0 | 4 | 42-16 | 48 |
| 2.რომა | 21 | 15 | 2 | 4 | 42-18 | 47 |
| 3.ნაპოლი | 21 | 13 | 5 | 3 | 47-24 | 44 |
| 4.ინტერი | 22 | 13 | 3 | 6 | 37-23 | 42 |
| 5.ლაციო | 22 | 12 | 4 | 6 | 35-25 | 40 |
| 6.ატალანტა | 21 | 12 | 2 | 7 | 33-24 | 38 |
| 7.მილანი | 20 | 11 | 4 | 5 | 31-24 | 37 |
| 8.ფიორენტინა | 20 | 9 | 6 | 5 | 33-25 | 33 |
| 9.ტორინო | 21 | 8 | 6 | 7 | 38-31 | 30 |
| 10.კიევო | 22 | 8 | 4 | 10 | 22-30 | 28 |
| 11.ბოლონია | 20 | 7 | 5 | 8 | 20-25 | 26 |
| 12.კალიარი | 21 | 8 | 2 | 11 | 31-45 | 26 |
| 13.უდინეზე | 21 | 7 | 4 | 10 | 25-28 | 25 |
| 14.სასუოლო | 21 | 7 | 3 | 11 | 31-35 | 24 |
| 15.ჯენოა | 21 | 6 | 6 | 9 | 24-29 | 24 |
| 16.სამპდორია | 21 | 6 | 6 | 9 | 22-27 | 24 |
| 17.ემპოლი | 21 | 5 | 6 | 10 | 12-26 | 21 |
| 18.კროტონე | 20 | 2 | 4 | 14 | 16-36 | 10 |
| 19.პალერმო | 21 | 2 | 4 | 15 | 17-41 | 10 |
| 20.პესკარა | 21 | 1 | 6 | 14 | 16-42 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

ჩეზენა-ასკოლი .............................. 2:2
ბენევენტო-კარპი ........................... 3:0
ვიჩენცა-სპალი ................................ 1:1
პრო ვერჩელი-ტრაპანი ................. 1:3
აველინო-ენტელა ........................... 2:2
ტერნანა-ჩიტადელა ...................... 1:0
ბარი-პერუჯა ................................... 0:0
ნოვარა-პიზა .................................. 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლიონი-ლილი ................................. 1:2
ნანსი-ბორდო ................................. 0:2
ლორიანი-დიჟონი .......................... 2:3
ბასტია-კაენი .................................. 1:1
ანჟე-მეცი ........................................ 2:1
რენი-ნანტი ..................................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 21 | 15 | 3 | 3 | 64-21 | 48 |
| 2.ნიცა | 21 | 13 | 7 | 1 | 35-14 | 46 |
| 3.პსჟ | 21 | 14 | 3 | 4 | 41-15 | 45 |
| 4.ლიონი | 21 | 12 | 1 | 8 | 40-25 | 37 |
| 5.მარსელი | 22 | 9 | 6 | 7 | 29-27 | 33 |
| 6.ბორდო | 22 | 8 | 8 | 6 | 24-27 | 32 |
| 7.გენგამი | 21 | 8 | 7 | 6 | 27-23 | 31 |
| 8.სტ.ეტიენი | 21 | 7 | 9 | 5 | 21-18 | 30 |
| 9.რენი | 22 | 8 | 6 | 8 | 22-26 | 30 |
| 10.ტულუზა | 21 | 7 | 5 | 9 | 22-23 | 26 |
| 11.ლილი | 22 | 7 | 5 | 10 | 21-27 | 26 |
| 12.ნანტი | 22 | 7 | 5 | 10 | 15-29 | 26 |
| 13.დიჟონი | 22 | 5 | 9 | 8 | 30-32 | 24 |
| 14.ნანსი | 21 | 6 | 6 | 9 | 16-25 | 24 |
| 15.მონპელიე | 22 | 5 | 8 | 9 | 30-39 | 23 |
| 16.ანჟე | 22 | 6 | 5 | 11 | 19-28 | 23 |
| 17.ბასტია | 22 | 5 | 7 | 10 | 19-26 | 22 |
| 18.კაენი | 21 | 6 | 4 | 11 | 24-36 | 22 |
| 19.მეცი | 21 | 6 | 5 | 10 | 21-38 | 21 |
| 20.ლორიანი | 22 | 5 | 3 | 14 | 25-46 | 18 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ამიენი-ლანსი ................................. 2:1

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

იგლზი-უტრეხტი ........................... 0:1
როდა-ექსელსიორი ....................... 4:0
ჰერაკლესი-პსვ .............................. 1:2

**პორტუგალია. პირველი ლიგა**

ტონდელა-შავიში ........................... 2:0
გიმარაეში-მარიტიმუ .................... 0:0
ნასიონალი-აროუკა ...................... 1:1
ეშტორილი-პორტუ ......................... 1:2
სპორტინგი-ფერეირა .................... 4:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-რეინჯერსი ............... 0:2
ინვერნესი-პარტიკი ...................... 0:0
კილმარნოკი-როსი ......................... 3:2
სტ.ჯონსონი-ჰამილტონი ............... 3:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**

კორტრაიკი-ლოკერენი .................. 2:1
ბევერენი-ვესტერლო ..................... 0:0
სტ.ტტრუიდენი-ოსტენდე ............. 3:0
მეხელენი-გენკი .............................. 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ირაკლისი-ლარისა ........................ 1:1
ასტერასი-პანიონიოსი .................. 1:1
ქსანთი-აეკი ..................................... 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-ქარაბუქი ............................... 1:0
ანთალია-ალანია ........................... 2:1
გალათასარაი-აკხისარი ................. 6:0

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები – ფინალი**

ფედერერი-ნადალი ..... 6:4,3:6,6:1,3:6,6:3

**ქალები – ფინალი**

ვ.უილიამსი-ს.უილიამსი .......... 4:6,4:6

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ქმარს გაშორებულმა ახალზელანდიელმა 15 წელი ფიტნესს მიუძღვნა



ახალი ზელანდიის მცხოვრებმა საკუთარი თავი ჯანსაღი ცხოვრების წესსა და სპორტს მას შემდეგ მიუძღვნა, რაც ქმარს გაშორდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გათხოვების შემდეგ ბელინდა ბენი მთელ თავის დროს ოჯახსა და სამსახურს უძღვნიდა. არასწორი კვების და შაქრის უზომოდ გამოყენების გამო, ქალმა, რომელიც საკუთარ თავს ყურადღებას აღარ აქცევდა, წონაში საგრძნობლად მოიმატა. მეუღლესთან განქორწინების შემდეგ, 37 წლის ბენი მიხვდა, რომ საკუთარ გარეგნობაზე უნდა ეზრუნა.

დიეტის, ასევე ალკოჰოლზე უარის თქმისა და ფიტნესით რეგულარულად დაკავების წყალობით, ბენმა საკუთარი ფორმის წესრიგში მოყვანა მოახერხა. ამჟამად 52 წლის ბელინდა პერსონალურ მწვრთნელად, ფიტნეს-მოდელად მუშაობს და აქტიური ცხოვრების წესს მისდევს.

**კალეიდოსკოპი**

## ინდოეთში მოძრაობის წესების დამრღვევს პატრიოტული მუსიკით აღზრდიან



ინდოეთის დედაქალაქ ნიუ-დელიში გადაწყვიტეს, საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევები პატრიოტული მუსიკის დახმარებით და სიმღერებით ბოლივუდის ფილმებიდან, გამოასწორონ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ადგილობრივი კანონების თანახმად, იმისთვის, რომ გარკვეული დარღვევების შემდეგ, მძღოლმა ისევ მოახერხოს მანქანის საჭესთან დაჯდომა, როგორიცაა ნასვამ მდგომარეობაში სატვირთო მანქანით მგზავრების გადაყვანა, აუცილებელია გადამზადების ერთდღიანი კურსი გაიაროს. ამიერიდან კი ეს კურსები პატრიოტული და რელიგიური სიმღერების თანხლებით ჩაივლის, ასევე მუსიკით, რომელიც დადებით ემოციურ მუხტს იწვევს.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა განმარტა, ამ წინადადების ავტორები თვლიან, რომ მძღოლები უფრო კარგად აითვისებენ გადამზადების კურსს.

– ეს იმისთვის კეთდება, რომ საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევებმა იგრძნონ, რომ სწავლობენ და იმავე დროს გარკვეულ სიამოვნებასაც იღებენ, – ნათქვამია სამართალდამცავი ორგანოების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მხატვარმა ცხვირზე ტრამპი დაიხატა



მხატვარმა მელ ჰენკოკმა საკუთარ ცხვირზე აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დაიხატა და აიძულა, ტვერკი ეცეკვა. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ინსტაგრამში მხატვარის აკაუნტზე გამოქვეყნდა.

ჰენკოკი, რომელსაც საკუთარი მიკრობლოგი აქვს, ცხვირის წვერს თითით ამოძრავებდა, რათა ტრამპის ფიგურას მოძრაობები შეესრულებინა.

მხატვარს ადრეც გამოუქვეყნებია სოციალურ ქსელში მსგავსი კლიპები. მაგალითად, გასული წლის დეკემბერში ტვერკის ცეკვა გრინჩის გამოსახულებას აიძულა. ჰენკოკის შემოქმედებას ინტერნეტში თვალს 3,7 ათასზე მეტი მომხმარებელი ადევნებს.

მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ ავიცილოთ სანერწყვე ჯირკვლის დაავადებები

ეკა ირემაშვილი

სანერწყვე ჯირკვლის დაავადებების დიაგნოსტირება და მკურნალობა წინა წლებში გარკვეულ სირთულესთან იყო დაკავშირებული. სანერწყვე ჯირკვლების დაავადებათა მკურნალობაში ენდოსკოპიური მეთოდი რევოლუციურ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების წყალობით, წარმატებით არის შესაძლებელი, მინიმალურად ინვაზიური ჩარევით, სანერწყვე ჯირკვლისა და სადინრის კენჭოვანი დაავადებებისა და სხვა პათოლოგიათა მკურნალობა.

როგორ ავიცილოთ სანერწყვე ჯირკვლის დაავადებები, რა პათოლოგიები ახასიათებს ამ დაავადებას და როგორ მკურნალობენ ნოვაციური მეთოდებით მედიკოსები, ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ყბასახის ქირურგი ბექა ბაკურაძე საუბრობს.

**ბექა ბაკურაძე:**

– არსებობს რამდენიმე სიმპტომი, რომლებსაც პაციენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს და მიმართოს ექიმს. ეს არის პირის სიმშრალე ან, პირიქით, უხვნერწყვიანობა, ე.წ. ჰიპო ან ჰიპერსალივაცია, ტკივილი და შესიება ქვედა ყბის მიდამოში საკვების მიღების დროს, რომელიც შემდგომ ზომაში მცირდება. წვის შეგრძნება ენისქვეშა მიდამოში, პერიოდულად მლაშე გემოს არსებობა და ა.შ. ეს არის პირველი სიმპტომები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ სანერწყვე ჯირკვალში პათოლოგიური პროცესები მიმდინარეობს.



***– რა გამოკვლევები არსებობს სანერწყვე ჯირკვლის დაავადებების დიაგნოსტიკაში?***

– გარდა ექიმის მიერ ობიექტური გასინჯვისა, არსებობს ასევე კლინიკო-ლაბორატორიული კვლევები, როგორიც არის ულტრაბგერითი კვლევა, მაგნიტურ-რეზონანსული, კომპიუტერული ტომოგრაფია და რენტგენოლოგიური კვლევები. ასევე არსებობს უახლესი კვლევითი მეთოდი, სიალოენდოსკოპია, როდესაც ექიმი ვიზუალურად ათვალიერებს სანერწყვე ჯირკვლის სადინარს, პარენქიმასა და სტრომას.

***– რა უპირატესობას გაძლევთ, როგორც ექიმს, სიალოენდოსკოპია?***

– სიალოენდოსკოპიის უპირატესობა ის გახლავთ, რომ ხდება დიაგნოსტირება სიალოადენიტის სხვადასხვა ფორმის ანუ სანერწყვე ჯირკვლის ანთების, რომლის დიაგნოსტირებაც ვერ ხერხდება სხვა ზემოთ ჩამოთვლილი კვლევების შედეგად.

ექიმი მუშაობს დახურული წესით, განაკვეთის გატარების გარეშე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რაც თავისთავად ატრავმული და დამზოგველია პაციენტისთვის, გაცილებით ნაკლებია მოსალოდნელი გართულებები.

ექიმი ვიზუალურად ათვალიერებს ჯირკვლის შიგთავსსა და სანერწყვე სადინრის კედლებს, რაც ვერ ხერხდება სხვა გამოკვლევების შედეგად.

***– რატომ არის სიალოენდოსკოპიური აპარატით ჩატარებული მანიპულაციები უფრო სასურველი პაციენტისთვის?***

– სიალოენდოსკოპით ჩარევა ხდება დახურული წესით, რაც გულისხმობს იმას, რომ განაკვეთის გატარება არ გვჭირდება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რეაბილიტაცია კი შესაძლებელია მანიპულაციის დასრულებიდან ერთ საათში. პაციენტი ინარჩუნებს სანერწყვე ჯირკვალს, რომლის ფუნქციებიც აღდგენადი ხდება. გარდა ამისა, ფინანსურადაც დამზოგველია.

სიალოენდოსკოპის საშუალებით, იმისდა მიხედვით, თუ რა ლოკალიზაციისა და ზომის არის კენჭოვანი წარმონაქმნი, შესაძლებელია სანერწყვე ჯირკვლის კენჭის სრული ან ნაწილობრივი მოცილება, ასევე ლითოტრიფსია ანუ დაშლა, შემდგომ – ჯირკვლის სანაცია. გარეგანი განაკვეთისა და სანერწყვე ჯირკვლის ექსტირპაციის გარეშე ენდოსკოპის მეშვეობით კენჭების მოცილება ატრავმული და დამზოგველია პაციენტისთვის, გართულებების რისკიც დაბალია და ჯირკვალი აღიდგენს ნორმალური ფუნქციონირების უნარს.

მედიცინა სულ უფრო წინ მიდის და ვითარდება. ამ სიახლეებს არც ეროვნული ქირურგიის ცენტრი ჩამორჩება. პერსპექტივაში დაგეგმილი გვაქვს საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ართროსკოპიული კვლევებისა და მკურნალობის მეთოდების შემუშავება და განხორციელება. საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ართროსკოპი ინტეგრირებული სამუშაო არხებით საშუალებას გვაძლევს, მინიმალურად ინვაზიური ართროსკოპიული მკურნალობა ვაწარმოოთ საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის დისკის რეპოზიციისას, ართროსკოპიული დიაგნოსტიკის პარალელურად.

***– კიდევ რა დაავადებების მკურნალობაა ართროსკოპით შესაძლებელი?***

– აღნიშნული ართროსკოპი საშუალებას მოგვცემს, ვუმკურნალოთ ისეთ დაავადებებს, როგორებიც არის ართრიტები, ართროზები, ართროზოართრიტები, დისკოზები, ანკილოზები, ე.წ. ტკაცუნა სახსარი, რაც ხშირი პრობლემაა როგორც ასაკოვან, ასევე ახალგაზრდა პაციენტებში, რომლებსაც დარღვეული აქვთ თანკბილვა.

## ვეტერინარმა, ყოფილმა მოდელმა, სახელი სოციალურ ქსელში გაითქვა



პოლონელი გოგონა, რომელიც ადრე მოდელად მუშაობდა, მაგრამ შემდეგ ვეტერინარობა არჩია, სოციალურ ქსელებში მეტად პოპულარული გახდა.

27 წლის ნატალია სტროკოვსკაიამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე 15 ათასზე მეტი ხელმომწერი მას შემდეგ შეიძინა, როდესაც იმ ცხოველების სურათების გამოქვეყნება დაიწყო, რომლებსაც დახმარება ესაჭიროებოდათ. აღსანიშნავია, რომ სამოდელო ბიზნესიდან მიღებული თანხა დაეხმარა გოგონას სამედიცინო განათლების მიღებაში.

– სამწუხაროდ, მანეკენები ხშირად ხდებიან სტერეოტიპების მსხვერპლი. მინდოდა დამემტკიცებინა, რომ შემეძლო ერთმანეთისთვის შემეთავსებინა გადაღებები და სამედიცინო დაწესებულებაში სწავლა და ვეტერინარის სპეციალობას დავუფლებოდი, – განაცხადა სტროკოვსკაიამ. ასევე გოგონას ეამაყება, რომ საკუთარი მაგალითით ბუნებრივი სილამაზის პროპაგანდას ეწევა და არა დღეისთვის პოპულარული პლასტიკური ოპერაციებისა და ფოტოშოპით სურათების რედაქტირებას.

## კალეიდოსკოპი

## „მის ბუმბუმმა“ სამბა იცეკვა



ბრაზილიური კონკურსის „მის ბუმბუმის“ გამარჯვებულმა ერიკა კანელამ სამბა იცეკვა. ქვეყნის ყველაზე ლამაზი დუნდულების ტიტულის მფლობელმა ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

კანელა ბრაზილიაში ყველაზე ლამაზი დუნდულების მფლობელად 2016 წლის 10 ნოემბერს დაასახელეს. გოგონა მოდელად მუშაობს, ხოლო მისი თეძოების გარშემოწერილობა 107 სანტიმეტრს შეადგენს.

მიკრობლოგს ერიკანეკა 226 ათასი ხელმომწერი ჰყავს.

## ამერიკაში ტრამპის გამო მექსიკელმა მეზობელს ყური მოაკვნიტა



ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ პიტსბურგის მცხოვრებმა მეზობელს აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის პოლიტიკაზე კამათის დროს ყური მოაკვნიტა.

მამაკაცი მექსიკიდან ჩამოვიდა და ეშინოდა, რომ ქვეყნის ახალი პრეზიდენტი მას უკან დააბრუნებდა. მთვრალ მდგომარეობაში მყოფს არაერთხელ უთქვამს, რომ თუ მისი ქვეყნიდან გასახლების გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, შეეცდებოდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოეკლა.

30 წლის მარკო ორტიზი, რომელიც მექსიკელთან ერთად ერთ ბინაში ცხოვრობდა, მეზობელთან კამათში ჩაება, მაგრამ ამ დროს ის მას თავს დაესხა, თითებს უტრიალებდა, შემდეგ კი ყური მოაკვნიტა. დაზარალებულმა მისგან თავის დაღწევა მოახერხა. მან ავტოგასამართ სადგურამდე მიირბინა და დახმარება ითხოვა.

იმ დროისთვის, როდესაც შემთხვევის ადგილზე პოლიცია მივიდა, ეჭვმიტანილმა მიმალვა მოასწრო. ორტიზი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა სტაბილურია. მოკვნეტილი ყური ბინაში იპოვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა






დიდებული ოჯახის დიდებულ მამას,
ღირსეულ ბაბუასა და უკეთილშობილეს
ადამიანს

ვაჟა სიხელაშვილს

ვულოცავ საიუბილეო თარიღს – 80 წელს,
ახლა უკვე დღესასწაულად ქცეულს.
ვუსურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს
სიცოცხლეს.

*სიყვარულით, ციური მჟავია*


## ასტროპროგნოზი 30 იანვრისათვის



**ვერძი** – დღეს მოსალოდნელია საინტერესო თავგადასავლები. კეთილისმყოფელი პერიოდია ოჯახური დღესასწაულებისათვის. **კურო** – მთელ დროს შემოქმედებით საქმიანობას მოანდომებთ. პრობლემის გადაჭრა არასტანდარტული გზით ცადეთ. **ტყუპები** – სიყვარულში გაგიმართლებთ. მამაკაცებს მეგობრებთან ურთიერთობაში გარკვეული დაბრკოლებები შეგხვდებათ. **კირჩხიბი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. საჭიროების შემთხვევაში ექიმთან ვიზიტი არ დააყოვნოთ. **ლომი** – იზრუნეთ ბავშვებზე, ახლო ნათესავებზე. შესაძლოა, თქვენს მომავალ მეორე ნახევარს სწორედ დღეს შეხვდეთ. **ქალწული** – ჰარმონიული და მშვიდი დღეა. საღამოს ოდნავ შეგაწუხებთ ქრონიკული დაავადება. **სასწორი** – გონიერებისა და თავშეკავების დახმარებით წარმოშობილ უსიამოვნებას თავიდან იოლად აიცილებთ. **ღრიანკალი** – წადით სამოგზაუროდ. ახალი შთაბეჭდილებები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენს. **მშვილდოსანი** – ახალი ნაცნობობა იღბლიანია. გიფართოვდებათ შემოქმედებითი საქმიანობის არეალი. **თხის რქა** – ერიდეთ კოლექტიურ საქმიანობას. ერთობლივი პროექტები არასასურველ შედეგს გამოიღებს. **მერწყული** – საკუთარი ძალები რეალურად შეაფასეთ. აკეთეთ ის, რაც ხელგეწიფებათ. **თევზები** – ჯანმრთელობის პრობლემები თავს იჩენს. სერიოზული არაფერია. შესაძლოა, პატარა გაციებამ შეგაწუხოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## სკანვორდი



1. სტადიონი ბრაზილიაში; 2. სევდის მომგვრელი მუსიკალური წყობა; 3. ... მკლავაძე (პერს.); 4. სოფელი წყალტუბოს ზონაში; 5. თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი; 6. სანელებელი; 7. ესპერანტოს ვარიანტი; 8. „... დაიდარდო!“; 9. თევზსაჭერი მოწყობილობა; 10. იაპონელთა ეროვნული ტანსაცმელი; 11. ერთნახადი, სუსტი არაყი; 12. მექსიკური მცენარე; 13. წონის ერთეული; 14. შოტლანდიელ მამაკაცთა ქვედა სამოსელი; 15. დაცლილი ვაზნა; 16. ჯინა ლოლობრიჯიდას კინოროლი; 17. ... ჟორდანია; 18. ანჩხლი; 19. ... სუმაკი; 20. ერთგვარი თამაში სალტეებითა და ჯოხებით; 21. საბერძნეთი; 22. პატარა ლიახვის მარჯვენა შენაკადი; 23. რისამე საფუძველი; 24. დიდი ჩაქუჩი; 25. მსახიობი ... ჰეჩი; 26. ... ტურგენევი; 27. ელექტროდენის წინაღობის ერთეული; 28. მეფის მხლებელთა ჯგუფი; 29. ... ჭყონია; 30. ბინოკლი; 31. ე.წ. შავი ხე; 32. ციური მანათობელი სხეული; 33. მსახიობი და მომღერალი ... ნინიძე.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თურინჯი; 2. ბორისფენი; 3. ფორსინგი; 4. ნეილონი; 5. ფაველა; 9. პრიორი; 11. მარტენი; 12. ჩოჩორი; 14. ღრუბელი; 18. ოხორი; 19. სელბი.

**თარაზულად:** 4. ნადული; 5. ფიტოფაგი; 6. „ფორდი“; 7. ბიონიკა; 8. ლისიპი; 10. ასთმა; 13. ჯუღელი; 15. ფადიკო; 16. გეტა; 17. კინო; 20. ბელენი; 21. ფირუზი; 22. მარტელი; 23. ბაიათი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ენოლოგია; 2. ზევსი; 3. ოპერაცია; 4. „ყოჩები“; 7. გიუმი; 9. „პიეტა“; 12. ესკალატორი; 14. მიკადო; 15. ფეიქარი; 17. პატენტი; 20. ნეონი.

**თარაზულად:** 5. ინტერესი; 6. სოპრანო; 8. ბესელია; 10. დემენცია; 11. ფიქცია; 13. გრადუსი; 16. კარაბინი; 18. წაბლი; 19. აიეტი; 21. ბერდია; 22. ერდოღანი; 23. პოსტერი.

# ნოდიკო ტატიშვილი გერმანიაში გაქურდეს



მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი გერმანიაში იმყოფება, სადაც სამ ქალაქში – მიუნხენში, კარლსრუესა და შტუტგარტში კონცერტებს მართავს.

ნოდიკოს გერმანიაში არასასიამოვნო ინციდენტი შეემთხვა – მომღერალი გაქურდეს და ლეპტოპი მოჰპარეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ნოდიკო ტატიშვილმა თვითონვე გაავრცელა:

– შუაგულ ევროპაში რომ მოგპარავენ პატარა ჩემოდანს თავისი ლეპტოპით, თან ისე, რომ ვერ დაინახავ, ვინ, როდის და რანაირად აიღო და წაიღო. რა ჰქვია ახლა ამას?

# ვაჟა მანია ნიუ იორკში საუკეთესოთა ჩამონათვალში მოხვდა



მომღერალი ვაჟა მანია მსმენელმა „ჯეოსტარიდან" გაიცნო. აფხაზეთის წარმომადგენელი კონკურსანტი ფინალისტიც გახდა, თუმცა მეორე ადგილზე გავიდა.

ვაჟა მანიამ საკუთარი კარიერის გაგრძელება საზღვარგარეთ გადაწყვიტა და ჯაზის დიდმა სიყვარულმა ამერიკაში ჩაიყვანა. მომღერალმა ნიუ იორკში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

ნიუ იორკის ჯაზის საერთაშორისო კონკურსის ორგანიზატორებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მომღერლებს მოუსმინეს და მათგან საუკეთესოები ფინალისტებად დაასახელეს.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც გრემის მფლობელი მუსიკოსები შედიან, ვაჟა მანია ფინალისტთა ჩამონათვალში შეიყვანა. მომღერალმა და მისმა კვარტეტმა ყველაზე მეტი ხმა დააგროვა და რჩეულებში მოხვდა.

ვინ გახდება კონკურსის გამარჯვებული, ამას ჟიურის წევრები გადაწყვეტენ და საუკეთესოს რამდენიმე დღეში დაასახელებენ.

# ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში საგანმანათლებლო პროგრამას წარადგენენ



30 იანვარს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში გაიმართება საგანმანათლებლო პროგრამის პრეზენტაცია, რომელიც მომზადდა თბილისის გოეთეს ინსტიტუტთან ერთად შემუშავებული პროგრამის „ვისწავლოთ გერმანული ენა მუზეუმში" ფარგლებში.

ბოლო წლებში პროგრამა „ვისწავლოთ გერმანული ენა მუზეუმში" წარმატებით ხორციელდება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმსა და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში.

წელს დაგეგმილია ამ პროგრამის ფართოდ დანერგვა ეროვნული მუზეუმის სისტემაში შემავალ ელენე ახვლედიანისა და იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმებში და ასევე რეგიონულ მუზეუმებში, მათ შორის, ბოლნისის ახალ მუზეუმში.

ამ პროგრამის ფარგლებში, გერმანული ენის პედაგოგებისთვის მუშავდება დამხმარე სასწავლო მასალა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, ჩაატარონ გასვლითი გაკვეთილები მუზეუმებში. გაკვეთილი ითვალისწინებს ინტერაქტიულ თამაშებს, გამოფენის გაცნობას, ექსპონატებსა და მათ დეტალებზე ყურადღების გამახვილებასა და ამ გზით ახალი გერმანული გამოთქმებისა თუ სიტყვების სწავლებას.

პრეზენტაციას დაესწრება საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს დელეგაცია. ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია აზერბაიჯანსა და საქართველოში გერმანული დასახლებების 200 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებების პროგრამის შესახებ ინფორმაციის გაცვლა.

# ანიტა რაჭველიშვილი მთავრობას ემუქრება



მიუხედავად იმისა, რომ საოპერო მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი მთელი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ არის წასული და საქართველოში მცირე ხნით ჩამოდის, მისთვის ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები კარგად არის ცნობილი.

ანიტა კულტურის სფეროში დაფინანსების შემცირებას აპროტესტებს და მოუწოდებს მთავრობას, მომღერლებს, მუსიკოსებსა და კულტურის სხვა სფეროს წარმომადგენლებს დაფინანსება კი არ შეუმცირონ, პირიქით, ხელი შეუწყონ მათ ნორმალურად მუშაობაში.

**ანიტა რაჭველიშვილი:**

– კულტურის სამინისტრო, აღუდგინეთ სრული დაფინანსება გორის ქალთა კამერულ გუნდს, აფხაზეთის კაპელას, საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრსა და სხვა ისტორიულ კოლექტივებს!

წინააღმდეგ შემთხვევაში, უკიდურეს ზომებს მივმართავთ! ბევრი რამე არ იცის ჯერ საზოგადოებამ და მალე გაიგებს!!!

გაოგნებული ვარ თქვენი არაპროფესიონალიზმით, საკუთარი ხელოვანების უპატივცემულობითა და დაფინანსების საეჭვო ხარჯვებით სახელმწიფოს მხრიდან! იმის ფონზე, რომ ქართველ მუსიკოსებს ისედაც მიზერულ ხელფასებს უმცირებთ და, სამაგიეროდ, ხარჯავთ 5,5 მილიონ ლარს მხოლოდ ერთი უცხოური ბენდის ჩამოსაყვანად, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს არის დანაშაული ქვეყნის წინაშე, დამცირება და შეურაცხყოფა ყველა ქართველი ხელოვანის!

# გია ფერაძეს რუსთაველის თეატრთან ვარსკვლავი გაუხსნეს




მსახიობ გია ფერაძეს რუსთაველის თეატრის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს. ტრაგიკულ პიროვნებას, რომელიც მაყურებელს განსაკუთრებულად უყვარდა, მშობლიური თეატრის წინ ვარსკვლავი მისმა ერთგულმა გულშემატკივრებმა აჩუქეს.

**ინფორმაცია და ფოტოები რუსთაველის თეატრის მსახიობმა ედმონდ აბაშიძე-მინაშვილმა გაავრცელა:**

– შემოვიარე ჩვენს თეატრში, რუსთაველის თეატრს ვგულისხმობ, წინ ეს წარწერა დამხვდა. რეაქცია მქონდა საშინელი, ძალიან გავბრაზდი, მაგრამ, რამდენიმე წამში დავფიქრდი და...

რატომაც არა... რაღაცნაირად მომეწონა ეს საქციელი, ენით აუხსნელი განცდა დამეუფლა. რა ბედნიერებაა, როცა ასე უყვარხარ შენს მაყურებელს, როცა ასეთი გულშემატკივარი გყავს. გია ფერაძე ხომ ნამდვილად იმსახურებს ამ სიყვარულს!... ჰოდა, რატომაც არა!... ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

# თეონა ქუმსიაშვილი 33 წლის გახდებოდა



მუცოს ხეობაში ტრაგიკულად დაღუპული მომღერალი თეონა ქუმსიაშვილი 33 წლის გახდებოდა. ისევე, როგორც ყოველ წელს, ტრადიცია არც წელს დაირღვა და თეონა ქუმსიაშვილის დაბადების დღე სპეციალური კონცერტით აღინიშნა.

ქართული ხალხური სიმღერებისა და საკუთარი ფოლკლორული კომპოზიციების შემსრულებელი ანსამბლ „სიონის ზარების" სოლისტი იყო, მონაწილეობდა ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალებში „ხევსურული საღამო" და „არტგენი", ანსამბლ „შავნაბადასთან" ერთად იმყოფებოდა ფესტივალზე თურქეთში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში მომღერლის ხსოვნის საღამო ჩატარდა.

საღამოზე წარდგენილ იქნა თეონას მეუღლის გელა დაიაურის ლექსების კრებული „ჩემო ბულბულო", რომელიც პოეტმა მომხდარი ტრაგედიის შემდეგ დაწერა და ოჯახს მიუძღვნა...

მომღერალი მუცოს ხეობაში მომხდარი ტრაგედიის შედეგად ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად დაიღუპა. ათენგენობიდან, მთიელთა უძველესი დღესასწაულიდან მომავალი ავტომობილი, რომელშიც იჯდა თეონა ქუმსიაშვილი 2 მცირეწლოვან ვაჟთან, დასთან და კიდევ 3 ადამიანთან ერთად, ავტოკატასტროფაში მოყვა. ავტომობილი მდინარე არღუნის ხეობაში გადაიჩეხა. კატასტროფის შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა. საბედისწერო აღმოჩნდა შემთხვევა ქართველი მომღერლის თეონა ქუმსიაშვილისათვის, რომელსაც სახელად „მთის ბულბული" შეარქვეს.

თსუ-ში გამართულ თეონა ქუმსიაშვილის ხსოვნის საღამოზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ვენაში ტრამვაის გამტაცებელი დააკავეს



ავსტრიის პოლიციამ მიაგნო იმ ადამიანს, რომელმაც ვენაში ტრამვაი გაიტაცა. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

ეჭვმიტანილმა უკვე მისცა აღიარებითი ჩვენება. ცნობილია, რომ ის 36 წლისაა და ადრე ვაგონგამცილებლად მუშაობდა. მან არ განმარტა, თუ რამ უბიძგა ამ დანაშაულის ჩადენისკენ.

ინციდენტი დილით ადრე მოხდა, სანამ ტრამვაის მემანქანე ტუალეტში იმყოფებოდა. ბოროტმოქმედმა მისი არყოფნით ისარგებლა, ცარიელი ვაგონის ჩაკეტილი კარი გააღო, მემანქანის სავარძელში მოკალათდა და ტრამვაი გაიტაცა.

გამტაცებელმა თითქმის ორი გაჩერების გავლა მოასწრო, ამასთან მას საგზაო მოძრაობის წესები არ დაურღვევია. გატაცებული ტრამვაის გასაჩერებლად, ძაბვის ხაზი გათიშეს. ხოლო როდესაც ეს მოხდა, გამტაცებელმა ისე მოახერხა დანაშაულის ადგილის დატოვება, რომ გამვლელთა ყურადღება არ მიუქცევია.

## სამგლოვიარო განცხადებები

ვიტალი ქარდავა ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა ჭეშმარიტად ღირსეული ქართველი

**ბორის გულუა**

და სამძიმარს უცხადებს მის მეუღლეს, ქალბატონ ზაირასა და შვილებს გელასა და გიორგის.

ზაზა კვარაცხელია და თამუნა ქარდავა თანაუგრძნობენ ზაირა, გელა და გიორგი გულუებს მეუღლისა და მამის, ოჯახის უსაყვარლესი მეგობრის

**ბორის გულუას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კალეიდოსკოპი

## ბრიტანელი ოქროს თევზის გადაყლაპვისთვის ციხეში აღმოჩნდა

ბრიტანეთის დევონის საგრაფოს მცხოვრები ციხეში ცხოველებთან სასტიკი მოპყრობის ბრალდებით ციხეში აღმოჩნდა.



27 წლის შერილ სტივენსმა ვიდეოზე გადაიღო ის მომენტი, როდესაც მისმა მეგობარმა და ყოფილმა კოლეგამ, 24 წლის დანიელ ჩალისმა ოქროს თევზი გადაყლაპა. მათ ამით კომედიური ვიდეოს გადაღება სურდათ. ვიდეორგოლი, რომლის ხანგრძლივობამ 35 წამი შეადგინა, სოციალურ ქსელ ფეისბუქში გასული წლის მარტში გამოქვეყნდა.

საქმის განხილვის დროს ბრიტანელები ამტკიცებდნენ, რომ თევზი გადაყლაპვამდე ბუნებრივი სიკვდილით დაიღუპა, თუმცა სასამართლოში ცხოველთა სასტიკი მოპყრობისგან დაცვის სამეფო საზოგადოებამ დაამტკიცა, რომ გადაღებულ ვიდეოზე თევზი ჯერ ისევ ცოცხალია. აღნიშნულ საქმეზე განაჩენი 3 თებერვალს გამოცხადდება.

## ზღვის ლომს მანქანის სახურავზე ნებივრობა მოეწონა



ამერიკის ვაშინგტონის შტატში ზღვის ლომი სადგომზე გაჩერებული მანქანის სახურავზე მოკალათდა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ინტერნეტში გავრცელდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვიდეორგოლი თვითმხილველმა მელანი ჯეი სცევა ჰილმა გადაიღო. თუ როგორ მოხვდა ზღვის ლომი მანქანების სადგომზე, უცნობია.

## პლასტიკური ქირურგიის მოყვარული ტყუპები ურთიერთმსგავსებას ნანობენ



ავსტრალიის ქალაქ პერტის მცხოვრები ტყუპები, რომლებმაც 250 ათას ამერიკულ დოლარზე მეტი თანხა დახარჯეს პლასტიკურ ოპერაციებზე, ნანობენ, რომ ერთმანეთს მეტისმეტად დაემსგავსნენ.

31 წლის ანა და ლიუსი დესინკებმა გადაწყვიტეს, საკუთარი გარეგნობა იდენტური გაეხადათ და ამისთვის პლასტიკურ ქირურგიას მიმართეს. შედეგად, ქალებმა, რომლებიც იმავდროულად ერთსა და იმავე მამაკაცს ხვდებიან, გაიდიდეს მკერდი, ტუჩები და ა.შ. ასევე მათ ერთნაირი პერმანენტული მაკიაჟიც გაიკეთეს, კოსმეტიკური პროცედურები ჩაიტარეს ლაზერის გამოყენებით.

– ის, რაც ადრე მომხიბვლელად მიგვაჩნდა, ახლა საშინელებად ვთვლით, – განაცხადეს ტყუპებმა. ახლა ისინი ცდილობენ, საკუთარი ინდივიდუალურობა და გარეგნობა დაიბრუნონ, რომელიც ქირურგიულ ჩარევამდე ჰქონდათ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



## პროგრამა

**ორშაბათი 30 იანვარი**

**07.00** დოკ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **08.00** ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყური**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.10** გადაცემა "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად. **23.00** ტ/სერ "**მთავრობა**" **00.00** მხ/ფ "**ექსპრესი**" **03.10** "რეალური სივრცე"

**08.00** დ/ფ "ოქროს ხანა კინომუსიკაში" **08.50** დ/ფ "სუფრაჟისტები" **09.40** მხ/ფ "**ამალია ერჰარტი**" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის სიდუმლოებანი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**ელიფი**" **5-6** სერ. **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.30** მხ/ფ "**ვიცი" რომ დაბრუნდები**" **00.30** მხ/ფ "**გამდიდრდი ან მოკვდი**" **02.45** მხ/ფ "**სკეპტიკოსი**" **04.10** მხ/ფ "**გაქცევა ციხიდან**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50, 20.03** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** ნიჭიერი - პირდაპირი (ფინალი) **00.00** სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "**ფანბოი და ჩამ-ჩამი**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **18.00** სერ. "**სკანდალი**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** მხ/ფ "**სექსი დიდ ქალაქში 1**" **02.25** მხ/ფ "**სექსი დიდ ქალაქში 2**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-არა განიკითხო **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ "**აქედანა და შენამდე**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "მარიონეტები" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** კონცერტი **15.50** სპექტაკლი "წუთისოფელი ასეა..." **17.20** დ/ფ "ხომლი, ფშავ-ხევსურეთი" IV **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ბიბლია ბავშვებისათვის **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი-ღირსი მამა გრიგოლ ხანცთელის სასწაულმოქმედება **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** წმინდა მეფე თამარი **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "ჭუბურხინჯი" **01.00** დ/ფ "მეფეთ-მეფე და დედოფალთ-დედოფალი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" **14.30, 15.30** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შექლებ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**მახე**" **1.30** "კონტაქტი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**30 იანვრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.7021

ევრო — 2.8869

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3882

100 რუსული რუბლი — 4.5003

**ამინდის პროგნოზი 30 იანვრისთვის**





## 31 იანვრიდან




ლოურენს რიზი

**მეორე მსოფლიო ომი დახურულ კარს მიღმა**

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა კონკურენტი კლიპერსი გაანადგურა

გოლდენ სტეიტმა სეზონის ერთ-ერთი უძლიერესი მატჩი ჩაატარა. ზაზა ფაჩულიას გუნდმა დასავლეთ კონფერენციაში ერთ-ერთ კონკურენტსა და ამბიციურ გუნდს უმასპინძლა და 46 ქულით გაანადგურა – 144:98.



ძალიან იოლ მატჩში ყველა გოლდენსტეიტელს მოუხდა თამაში, ხოლო სასტარტო ხუთეულის წევრებმა თავის საშუალოზე ნაკლები დრო დაჰყვეს მოედანზე. ზეშედეგიანად ითამაშა სტეფ კარიმ, რომელმაც 29 წუთში 43 ქულა, 9 მოხსნა და 6 პასი მიითვალა. კევინ დიურანტმაც 29 წუთი ითამაშა და 23 ქულას უწია.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 16 წუთით გამოჩნდა. ქართველმა ცენტრმა 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, 4 ქულა დააგროვა და ამას 6 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მოაყოლა. ზაზას უშუალო კონკურენტმა, კლიპერსელთა ცენტრმა დეანდრე ჯორდანმა, რომელიც ნბა-ში ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრად ითვლება და ამერიკის ოლიმპიური ნაკრების წევრიც არის, ზაზას წინააღმდეგ ჩვეულად ვერ ითამაშა და 23 წუთში მხოლოდ 8 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა.

ეს გახლდათ ოკლენდელთა სეზონის მე-40 გამარჯვება.

მომდევნო შეხვედრა გოლდენ სტეიტს პორტლენდში, ბლეიზერსთან ელის.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## ფედერერმა ავსტრალია მეხუთედ მოიგო

ჩოგბურთის ვეტერანი როჯერ ფედერერი ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული მეხუთედ გახდა.

გუშინ, 29 იანვარს, მან ფინალში ძველი მეტოქე რაფაელ ნადალი დაძაბულ ბრძოლაში 3:2 (6:4, 3:6, 6:1, 3:6, 6:3) დაამარცხა.

მატჩი 3,5 საათი გრძელდებოდა.

ეს ფედერერის მე-18 ტიტულია დიდი სლემის ტურნირებში.

ამასთან, ფედერერი პირველია, რომელიც დიდი სლემის 4 ტურნირიდან 3-ში 5-გზის გამარჯვებული გახდა.



## იუმორი



კაცს ტელეფონი სახლში დარჩა. სამსახურიდან დაბრუნებული, ტელეფონში გამოგზავნილ სმს-ს კითხულობს:

– ძვირფასო, საყვარელო, დამირეკე, თუ შეიძლება, გკოცნი, შენი მარინა.

კითხულობს მეორე სმს-ს:

– არ შეწუხდე, საყვარელო, უკვე დავურეკე! შენი მოსიყვარულე მეუღლე.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ ცხოვრობ?

– ბუზებს მოეწონებათ.

•••

მივლინებაში მიმავალმა ეჭვიანმა ქმარმა თავის მეგობარს დაუბარა:

– ჩემ ცოლს თვალი ადევნე. თუ რაიმე უჩვეულოს შენიშნავ, დაუყოვნებლივ მაცნობე.

ორი კვირის შემდეგ შეტყობინება მიიღო:

„სასწრაფოდ ჩამოდი“.

ქმარი იმავე დღეს ჩამოფრინდა. მივიდა მეგობართან და ეკითხება:

– რაშია საქმე?

– თავიდან იყო ასე, ყოველ საღამოს მასთან უცხო მამაკაცი მოდიოდა და მეორე დილით მიდიოდა.

– კი მაგრამ, ახლა რატომ მეუბნები მაგას?

– უჩვეულო გუშინ მოხდა, მამაკაცი არ მოსულა.

•••

ორი ხანდაზმული დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი პირველი კოცნა გახსოვს?

– რას მეუბნები, ჩემი პირველი ქმარიც კი არ მახსოვს!

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– ოდესმე მანქანა დაგჯახებია?

– კარგი, დაგიბრუნებ შენ ვალს, უეჭველად დაგიბრუნებ!

•••

მაღაზიის დირექტორი სამსახურში ახალ თანამშრომელს იღებს და ეკითხება:

– ანგარიში იცი?

– რა თქმა უნდა.

– ორჯერ ორი რამდენი იქნება?

– გააჩნია, რა შემთხვევაში, ვყიდულობთ, თუ ვყიდით?

– მიღებული ხარ!

•••

მოდელ გოგონას ეკითხებიან:

– რამდენი ასოა ანბანში?

– ექვსი.

– ექვსი? ჩამოთვალე.

– ა,ნ,ბ,ა,ნ,ი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 26 იანვრიდან




**ურჩხული და მზეთუნახავი**

მაგარი ყდა, 64 ფერადი გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 27 იანვრიდან

დონალდ ტრამპი

**იფიქრე ჩემპიონივით**




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## ნორვეგიელი ყველაზე მომხიბვლელ მეხანძრედ აღიარეს

ნორვეგიელმა გოგონამ სოციალურ ქსელ ინსტაგრამში სახელი გაითქვა, როგორც მსოფლიოში ყველაზე მომხიბვლელმა მეხანძრემ.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 30 წლის გუნი ნარტენი თავისი ეფექტური გარეგნობის გამო 48,5 ათასამდე ხელმომწერს მოეწონა, ასევე იმის გამოც, რომ ის ფიტნესზე ბევრ სასარგებლო რჩევას აქვეყნებს. სახანძროში სამსახურის გარდა, გოგონა კერძო მწვრთნელადაც მუშაობს.

გოგონა საკუთარ აკაუნტში ასევე აქვეყნებს ფოტოსურათებს, რომელზეც მისი მუშაობის მომენტებია ასახული. ზოგიერთ მათგანში ის ფორმასა და აირწინაღში გამოწყობილია აღბეჭდილი.

– როდესაც სამსახურს ვიწყებდი, დედამ მითხრა: „ქალი რომ მეხანძრე ყოფილიყოს, ასეთი რამ არასოდეს მსმენია. ეს რაში გჭირდება?“ რაზეც ვუპასუხე: „და რატომაც არა!“ – აღნიშნა ნარტენმა.

გუნის თქმით, ბევრს უკვირს, როდესაც იგებს, რომ ის მეხანძრეა, ხოლო ზოგიერთი მამაკაცი მის პროფესიას მეტად საშიშად მიიჩნევს. ამის მიუხედავად, გოგონას აღიარებით, მას არასოდეს უნანია საკუთარი არჩევანი. სამსახურის გარეთ გუნი ნარტენს უყვარს, რომ უფრო ქალურად გამოიყურებოდეს და ამისთვის ლამაზ კაბებს იცვამს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. დიპლომატიური კურიერის დაბეჭდილი საფოსტო ტომარა; 7. კოვბოური ფილმი; 8. პატარა ზომის კენგურუ; 10. მონეტის ფასის განსაზღვრა მისი წონის მიხედვით; 11. სახელმწიფო ევროპაში; 13. ივლისის ქართული ხალხური სახელწოდება; 16. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 19. მექსიკური ცეკვა; 20. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში.

**შვეულად:** 1. ფლობერის რომანი; 2. ქრისტიანული დღესასწაული; 3. მეგრული კერძი; 4. ხის ქერქქვეშა მაგარი ნაწილი; 5. ინტელექტუალური თამაში სიტყვების გამოცნობაზე; 9. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 12. დიდი შენობის არქიტექტურულად გაფორმებული მთავარი შესასვლელი; 14. ქოჩრიანი თუთიყუში; 15. ნიკო ლომოურის მშობლიური სოფელი; 17. კარ-მიდამო ლათინურ ამერიკაში; 18. მიწის ფართის საზომი ინგლისური ერთეული.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი